ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 11 აპრილი, 2023 №71 (9107) ფასი: 80 თეთრი


გვ.5

ექსპერტიზის დასკვნით, ბანკზე თავდამსხმელისა და ბადრი ესებუას ხმები იდენტურია

ბადრი ჯაფარიძე: „ე.წ. ფულის გათეთრების საქმესთან დაკავშირებით სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეგვაქვს“


გვ.5

# „ივანიშვილს ვერც კი წარმოუდგენია, რას შეეჭიდა და რის დამარცხებას ცდილობს!“


გვ.2

კახა ქემოკლიძე: „დასავლეთმა რუბიკონი გადაკვეთა. ის დარწმუნდა, რომ ეს ხელისუფლება რუსეთისკენ მიდის“




გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ინტერესების სანაცვლოდ ქვეყნის ინტერესები კითხვის ქვეშ დააყენა“

## „სასამართლო სისტემაში პოლიტიკური კორუფციაა“

„ამერიკელების პრეტენზიები ეხება „ქართული ოცნების“ ე.წ. ახალგაზრდულ ფრთას და არა ბიძინა ივანიშვილს“


გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „დასავლეთში ძალიან მობეზრდათ საქართველოს ცრუ ოპოზიცია. არავის სჯერა, რომ გიორგი ვაშაძე და ბევრი მისნაირი ოპოზიციონერი გადამტერებულია ხელისუფლებაზე“

რაში სჭირდება ხელისუფლებას რუსეთში მცხოვრები გურამ აბსანძე?!

მამუკა გვაძაბია: „რასაც ამ 9 აპრილის აქციისგან ველოდი, იმის 30%-ც არ იყო ის, რა შედეგიც დადგა“


გვ.3


გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს“


გვ.3

დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას საქმე — რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება



გვ.2

რუსთავში 25 წლამდე მამაკაცმა 100 ათასი დოლარი გაიტაცა, ქვეითს დაეჯახა და არხში გადავარდა


გვ.6

მამაკაცმა უარმყოფელი შეყვარებულის ოფისის წინ მთელი ღამე მუხლებზე მდგომმა გაატარა

1993230720223

3 ვინ არის ქართველი მომვლელი ქალი, რომელიც იტალიაში მოხუცზე ძალადობისთვის დააკავეს

5 შს სამინისტრო თბილისში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ინფორმაციასავრცელებს

5 გოგონამ ანკესით ლოქო დაიჭირა და ორი მსოფლიო რეკორდი მოხსნა

6 ვინ გაასაჯაროვა პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები?!

# „ივანიშვილს ვერც კი წარმოუდგენია, რას შეექიდა და რის დამარცხებას ცდილობს!“

## კახა ქემოკლიძე: „დასავლეთმა რუბიკონი გადაკვეთა. ის დარწმუნდა, რომ ეს ხელისუფლება რუსეთისკენ მიდის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.





***— ბატონო კახა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოთხ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაუწესა, ხელისუფლებას კი საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდა. რატომ, ვერ მიხვდა „ქართული ოცნება“, რა ხდება? როგორ აფასებთ ყოველივე ამას?***

— როდესაც ეს გადაწყვეტილება გამოცხადდა სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან, ჩერჩილის ცნობილი სიტყვები გამახსენდა და ეს ფრაზა დღევანდელობას კარგად აღწერს: „ამერიკელები ყოველთვის იღებენ სწორ გადაწყვეტილებას, ოღონდ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველაფერს დანარჩენს სრულად ამოწურავენ“. ჩემი აზრით, დღეს სწორედ ამ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

***— ანუ ყველა მცდელობა ამოწურეს?***

— ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადა, „ქართულ ოცნებასთან“ ესაუბრა მაქსიმალურად დიპლომატიური ეტიკეტისა და პროტოკოლის ჩარჩოების დაცვით მთელი ამ წლების განმავლობაში, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, შედეგს იღებდა უფრო და უფრო უარესს, ვიდრე ის ვარაუდობდა, რომ პროგრესსა და სასურველ შედეგს მიაღწევდა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების გადმოსახედიდანაც და მათი ეროვნული ინტერესებიდანაც. ამიტომ ეს გადაწყვეტილება უკავშირდება იმას, რომ დიპლომატიამ ძალა დაკარგა და გარკვეულწილად ხისტი ელემენტები შემოვიდა იმ ადამიანებისა და იმ კონკრეტული ფიგურების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგებიან. ეს არ არის მათი ინტერესის წარმოჩენა სამხრეთ კავკასიაში, არამცდაარამც. მათი ეროვნული ინტერესია, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველო იყოს ყველაზე წარმატებული სახელმწიფო, მათ შორის, წარმატებული აზერბაიჯანზე, სომხეთზე და წარმატებული თურქეთზეც.

***— ეს არის მეგობარი სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი და არა ის, რასაც ჩვენი ხელისუფლება ხატავს?***

— ახლო რადიუსში ეს არის ჩვენი სახელმწიფოსთვის საკმაოდ პრობლემური გადაწყვეტილება და შევეცდები, მარტივად ავხსნა, რატომ ვფიქრობ ასე. ეს გადაწყვეტილება ზეგავლენას იქონიებს აბსოლუტურად ყველაფერზე, არა მარტო შიდა პოლიტიკურ პროცესზე, არამედ ეკონომიკაზეც. წარმოიდგინეთ პოტენციური მსხვილი ინვესტორი დასავლური სახელმწიფოების მხრიდან, რომელიც საქართველოში თეორიულად ფულის ჩადებას აპირებდა. როდესაც ისინი ღრმა ანალიზს გააკეთებენ, პირველი, რასაც დააკვირდებიან, არის ის, რომ მართლმსაჯულების სისტემა არის აბსოლუტურად კორუმპირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არათუ მილიონებსა და მილიარდებს, არამედ ერთ დოლარსაც არ ჩადებენ ამ ქვეყანაში, რაც, ცხადია, დააზიანებს საქართველოს ეკონომიკას მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. ეს ახლო რადიუსს რაც შეეხება, ხოლო საშუალო და გრძელვადიან რადიუსში ეს იყო ძალიან საჭირო გადაწყვეტილება.

### „ასე ცალმხრივად გადაწყვეტა, 9 აპრილს მე დავაანონსე აქცია, დანარჩენები დაეწყვეთ და შემოგვიერთდითო, ასე არ ხდება ამ ქვეყანაში“

***— რატომ?***

— „ქართული ოცნება“ სასამართლო სისტემაში მასთან დაკავშირებული გავლენის ჯგუფების მეშვეობით ნელ-ნელა გუდავდა აბსოლუტურად იმ მოსამართლეებსა და იმ მოსამართლეთა ჯგუფს, რომლებიც იყვნენ დამოუკიდებლები. რომ არა ეს გადაწყვეტილება, ჩვენ ერთი ან ორი წლის თავზე მივიღებდით 80%-იან მოდიფიცირებას სასამართლო სისტემაში, რაც ქვეყნის განვითარებისთვის დამღუპველია. სასამართლო სისტემაში არსებული სიტუაცია აისახება აბსოლუტურად ყველაფერზე. რაც მთავარია, ეს გადაწყვეტილება დამატებით ჟანგბადს აწვდის იმ კეთილსინდისიერ მოსამართლეთა ჯგუფს, რომლებიც დარჩენილი არიან ამ სისტემაში. ამიტომაც იყო ეს გადაწყვეტილება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელი!

***— რა გაიგო ამ ყველაფრიდან ხელისუფლებამ? გამოიტანს დასკვნებს? მოვისმინეთ პრემიერის შეფასებები, რომელიც აცხადებს, რომ ამაყობს ამ ქვეყნის სასამართლოთი და რომ მოსამართლეების გვერდით დგას.***

— ჯერჯერობით ხელისუფლებამ ვერაფერი ვერ გაიგო და ის შესულია დაბნეულობის ძალიან მაღალ ხარისხში. ამას გვკარნახობს ის ნაბიჯები და განცხადებები სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან, რომლებიც გაკეთდა და გარკვეულწილად ეს ადამიანები, როგორც ჩანს, არ ელოდნენ შეერთებული შტატების მხრიდან ასეთ მძაფრ და მკვეთრ რეაქციას. ღარიბაშვილს რაც შეეხება, მისგან სხვა ტიპის განცხადებებს არც ველოდი. ეს გზავნილი არ ეხება მხოლოდ სასამართლო სისტემას. ეს გზავნილი ეხება „ქართულ ოცნებას“, რადგან სწორედ ამ ხელისუფლებამ შექმნა ის ამორფული მასა, რომელიც გადმოიბარა წინა მავნებელი ხელისუფლებისგან, არათუ დაამარცხა და სიტუაცია გამოაჯანმრთელა, პირიქით, კიდევ უფრო დიდ ჭაობში ჩაფლა.

„ქართული ოცნება“ დღეს არის თავდაცვით პოზიციაში. ისინი ეძებენ გამოსავალს და არჩევანის გაკეთება უწევთ ცუდსა და უარესს შორის, რადგან მურუსიძეებისა და ჩინჩალაძეების დაცვა მათსავე ელექტორატში აღიქმება ძალიან ცუდად. თუმცა დღეს ისეთ პოზიციაში არიან, რომ მათი დაცვა უწევთ. ამიტომ ძალიან ცუდ დღეშია „ქართული ოცნება“. მან მორალურობის მინიმალური სტანდარტიც კი დაკარგა. უკვე ფსკერია, წითელი ხაზი, რასაც ესენი კადრულობენ. „ოცნებამ“ საბოლოოდ დაკარგა სახე.

***— ბატონო კახა, ვისმენთ შეფასებებს, რომ ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ ფრთხილი ადამიანია. რამდენად სერიოზული სიგნალი იყო ეს მისთვის და თუ ელოდებით მისგან ქმედით ნაბიჯებს, შეცვლის რამეს?***

— მე ვფიქრობ, ბატონი ივანიშვილი თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით, მოქმედებებით არის კარგი სტრატეგოსი. მას აქვს არაჩვეულებრივი ინსტინქტები, მაგრამ სერიოზული პრობლემები აქვს დიდი სტრატეგიების გაანალიზებაში და სწორედ აქ უშვებს ძალიან სერიოზულ შეცდომებს. ასეთი სერიოზული შეცდომა იყო ფსონის დადება უკრაინის დამარცხებასა და რუსეთის გაძლიერებაზე და არცერთი არ მოხდა. ასეთივე შეცდომა იყო ფსონის დადება ამ კლანის გაძლიერებაზე. იმის ნაცვლად, რომ ჩაეტარებინათ სასამართლო რეფორმა და ოქროს ასოებით შესულიყო საქართველოს უახლეს ისტორიაში მისი სახელი და გვარი, აბსოლუტურად საპირისპირო გააკეთა და დღესაც იმავეს აკეთებს. მას ჰგონია, რომ კოლექტიური დასავლეთი და ამერიკა დამარცხდება სამხრეთ კავკასიაში. მესამე, მსხვილი სტრატეგიული შეცდომა სწორედ ესაა. მას ვერც კი წარმოუდგენია, რა შეუძლია დასავლეთს სამხრეთ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში. მას ვერც კი წარმოუდგენია, რას შეეჭიდა და რის დამარცხებას ლამობს! ეს დიდი სტრატეგიული გათვლები, ამავდროულად, მისი ყველაზე დიდი სისუსტეებია, რასაც დასავლეთი აქტიურად იყენებს და გამოიყენებს მომავალშიც.

***— ბატონო კახა, ოპოზიციის როლი ამ სიტუაციაში? 9 აპრილს მთავარი ოპოზიციური ძალის აქცია გაიმართა და ვისმენთ შეფასებებს, რომ ნაცმოძრაობამ და მისმა ახალმა თავმჯდომარემ სრული ფიასკო განიცადეს. რას იტყვით თქვენ?***

— ჩვენს წინა ინტერვიუში ვახსენეთ სწორედ ის სკეპტიციზმი, რომელიც ამ აქციას უკავშირდებოდა და ჩვენი ანალიტიკური ინსტინქტები გამართლდა. ნაციონალური მოძრაობის დღევანდელი ლიდერები ვერ ან არ გრძნობენ სოციალურ განწყობებს. ბოლო დიდმა აქციებმა გამოკვეთა შემდეგი რამ: ადამიანებს შეუძლიათ ზეპარტიული საკითხების, საქართველოს ეროვნული ინტერესების ირგვლივ გაერთიანება, რაც ვნახეთ 7-8 მარტს, როგორც კი ერთი კონკრეტული პარტია მართავს აქციას და ის არის ორგანიზატორი, იქ ხალხი არ მიდის. 7-8 მარტს შეკრებილ საზოგადოებას ვერავინ დააბრალებს, რომ ნაცმოძრაობის მომხრეა. ნაცმოძრაობა სერიოზულ შეცდომას უშვებს. ისინი საზოგადოების მოლოდინებს ძირს უთხრიან. გუშინდელი აქცია, რომელიც საათ-ნახევრის შემდეგ დაიშალა, სწორედ იმის მანიშნებელია, რომ საზოგადოებას ვიწროპარტიული ინტერესები აღარ აკმაყოფილებს და სჭირდება ერთი დიდი იდეის ირგვლივ გაერთიანება. ასე ცალმხრივად გადაწყვეტა, 9 აპრილს მე დავაანონსე აქცია, დანარჩენები დაეწყვეთ და შემოგვიერთდითო, ასე არ ხდება ამ ქვეყანაში. ადამიანების იმედგაცრუებას სწორედ ასეთი ტიპის მოწოდებები იწვევს და ეს აქცია ამის ნათელი დადასტურება იყო.

***— როგორ ფიქრობთ, ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ მოსამართლეების სანქცირებით შემოიფარგლება თუ შესაძლოა ივანიშვილისა და ხელისუფლების წევრების სანქცირებაც?***

— დასავლეთმა რუბიკონი გადაკვეთა. ის დარწმუნდა, რომ ეს ხელისუფლება რუსეთისკენ მიდის. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ სანქცირებულთა სია, სანქცირების მოცულობა და ზიანის ხარისხი კიდევ უფრო გაფართოვდეს და, საბოლოო ჯამში, ეს ქვეყანა მოლდოვის სცენარის მიხედვით წავიდეს. როდესაც იქ თავის დროზე ყველაზე მდიდარი ადამიანი დასანქცირდა, მისი ანტურაჟიც მთლიანად დასანქცირდა. ფაქტობრივად, მოლდოვას გეოპოლიტიკური მოცემულობა დაედო მაგიდაზე, თუ ქვეყნის განვითარება გსურთ, მაშინ რაღაცა უნდა შეიცვალოს ქვეყანაშიო და პროდასავლურად განწყობილი საზოგადოება გადაეწყო ახალ მთავრობაზე. არ გამოვრიცხავ, რომ თუ ივანიშვილი და „ოცნება“ ამ სტრატეგიული შეცდომების დაშვებას კიდევ გააგრძელებენ, მსგავსი ტიპის სცენარი საქართველოშიც განვითარდეს.

## პოლონეთში 41 წლის მამაკაცი თავს პოლიციელს დაესხა




პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. 41 წლის მამაკაცი პოლიციელზე თავდასხმაშია მხილებული.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ბრალდებული ცივი იარაღით შეიჭრა პოვიატას პოლიციის განყოფილებაში და ძალის გამოყენებით დამცავი, კოდირებული კარის გახსნას ცდილობდა.

მან ფიზიკური დაზიანება მიაყენა ადგილზე მყოფ პოლიციის ოფიცერს, თუმცა მამაკაცის დაკავება ადგილზე მოხერხდა.

რა მიზნით შეიჭრა ქართველი მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში, ჯერჯერობით, უცნობია. დაკავებულს 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## ავარია სენაკი-ზუგდიდის მაგისტრალზე — დაიღუპა 30 წლის მამაკაცი




სენაკი-ზუგდიდის მაგისტრალზე, ჭალადიდში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 30 წლის კაცი დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ხეს დაეჯახა. ავარიის მიზეზი, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარე გახდა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

## რუსთავში 25 წლამდე მამაკაცმა 100 ათასი დოლარი გაიტაცა, ქვეითს დაეჯახა და არხში გადავარდა




რუსთავში მამაკაცმა 100.000 დოლარი გაიტაცა, რის შემდეგაც ქვეითს დაეჯახა და არხში გადავარდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, დავით გარეჯის ქუჩაზე მამაკაცმა „ბეემვეს“ მარკის ავტომობილიდან მოტყუებით ჩასვა მგზავრი და მისი კუთვნილი თანხა, 100.000 დოლარი გაიტაცა. შემთხვევის ადგილიდან მალევე მძღოლი გზაზე მოძრავ ქვეითს დაეჯახა, რის შემდეგაც საჭე ვერ დაიმორჩილა, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და არხში ჩავარდა.

ადგილზე მალევე მივიდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები.

შემთხვევის ადგილზე მალევე მივიდა დაზარალებული მამაკაციც. არსებული ინფორმაციით, ის აღნიშნული თანხით ავტომობილის ყიდვას აპირებდა.

ბრალდებული, 25 წლამდე ახალგაზრდა კი პოლიციამ ადგილზე დააკავა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სასამართლო სისტემაში პოლიტიკური კორუფციაა“

## გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ინტერესების სანაცვლოდ ქვეყნის ინტერესები კითხვის ქვეშ დააყენა“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, თქვენთვის რა გზავნილია ირაკლი ღარიბაშვილის უზენაეს სასამართლოში მისვლა? ის აცხადებს, რომ სუვერენული სახელმწიფოს სუვერენულ სასამართლოში ჩარევა მიუღებელია, რომ მოქალაქეები სამართალს ქვეყანაში პოულობენ.***

– ეს იყო შემკვეთისა და შემსრულებლის შეხვედრა. შემკვეთმა გაამხნევა, იმედი მისცა და გვერდით დგომა აღუთქვა სასამართლო სისტემას. მოსამართლეებს რატომ დაეკისრათ სანქციები? დანაშაულის გამო. ამ დანაშაულის თანამონაწილეობა ვნახეთ.

რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ საქართველოს მოქალაქეები აქ, საქართველოში პოულობენ სამართალს, ნიკა გვარამია არ არის საქართველოს მოქალაქე?! ე.წ. კაბელების საქმე მინდა ირაკლი ღარიბაშვილს შევახსენო, ხომ კარგად ახსოვს. რომელიმე ამ საქმის მოსამართლე აკმაყოფილებს სტანდარტს?! ეს იყო ადეკვატური და საჭირო სანქციები. ესენი ის მოსამართლეები არიან, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის დროს სააკაშვილის შეკვეთებს ასრულებდნენ, ახლა ამ ხელისუფლების შეკვეთებს ასრულებენ და ამიტომ დაიტოვეს. მომავალში მომავალი ხელისუფლების შეკვეთებს შეასრულებენ. ამიტომ იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ეს გადაწყვეტილება ადეკვატური. ამ გადაწყვეტილებით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ქართველი ხალხის გვერდით დადგნენ.





***– პრემიერის საჯარო და ღია შეხვედრა ერთგვარი განაცხადია?***

– რა თქმა უნდა! მოსამართლეებმა მოითხოვეს საჯაროდ შეხვედრა და ღარიბაშვილიც დათანხმდა, რომ მხოლოდ მოსამართლეებზე არ გადატეხილიყო ჯოხი. ვის გამოც დაისაჯნენ, მათგან ითხოვენ დაცვას, თანადგომას. ხომ გასაგებია, თევზი საიდანაც ყარს. ეს მოსამართლეები ამ თევზის მხოლოდ კუდს წარმოადგენენ.

ხელისუფლების ადეკვატური ნაბიჯი იქნებოდა, საერთოდ გამიჯვნოდა ამ ყველაფერს, საერთოდ გამიჯვნოდა იმ ოთხივე მოსამართლეს, მაგრამ ამას ვერ გააკეთებდნენ. კიდევ უფრო ადეკვატური იქნებოდა, ამ მოსამართლეების საერთოდ გაშვებაზე ემუშავათ, მაგრამ ამას ვერ გააკეთებენ. ყველა და ყველაფერი ჩაითრიეს ამ პროცესში. ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიული პარტნიორია, რომელიც არა მხოლოდ ასეულობით მილიონი ლარის დახმარებას გვიწევს, არამედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში გვეხმარება არაღიარების პოლიტიკით, გვეხმარება საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ყველაფერი კითხვის ქვეშ დააყენეს. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ინტერესების სანაცვლოდ ქვეყნის ინტერესები დააყენა კითხვის ქვეშ. ეს უპატიებელია. ეს მიუღებელია. ეს ომის გამოცხადების ტოლფასია.

***– სახელმწიფო დეპარტამენტი კორუფციის ფაქტებზე საუბრობს. გასაგებია, პოლიტიკური კორუფცია ფულის ხელიდან ხელში გადაცემას არ ნიშნავს, თუმცა, მაინც მინდა გკითხოთ, სასამართლოში ფინანსური კორუფციის ფაქტებზე გსმენიათ?***

– არა, ფულის ხელიდან ხელში გადაცემის ფაქტებზე ნაკლებად არის აქ საუბარი. საუბარია პოლიტიკურ კორუფციაზე, რაც ნიშნავს მოსამართლის დანიშვნას გარკვეული პირობით, მაგალითად, დავალების შესრულებას. პოლიტიკურ ქრთამზეა საუბარი და არა ალებმიცემობაზე. რა პირობით ინიშნებიან მოსამართლეები, ამ ინფორმაციის არსებობაზეა საუბარი.

ცხადია, ამ ნიშნით დანიშნული მოსამართლეები დაიცავენ არა საჯარო, არამედ კერძო ინტერესს. დანიშნულები ანგარიშვალდებულებას გრძნობენ. ამ მოსამართლეებს ფიცი დადებული აქვთ არა საჯარო ინტერესების, არამედ კერძო პირების, ამ ადამიანების წინაშე, ეს არის პოლიტიკური კორუფცია. სწორედ ამაზეა საუბარი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მართლმსაჯულება ქვეყნის ხერხემალია. როდესაც ეს ხერხემალი კერძო ინტერესს ემსახურება, მაშინ ვიღებთ არა დემოკრატიას, არამედ ავტოკრატიასა და დიქტატურას.

***– ეთანხმებით საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივას საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით?***

– ამ პარლამენტისა და ამ მოცემულობის პირობებში საგამოძიებო კომისია არაფერს არ გვაძლევს, მით უფრო, როდესაც ყველაფერი ნათელია. ყველამ ყველაფერი იცის. ასე რომ არ იყოს, ასი ათასი ადამიანი ქუჩაში არ გამოვიდოდა და თავის ინტერესებს არ დაიცავდა. ხალხმა ყველაფერი იცის.

რა თქმა უნდა, საგამოძიებო კომისია, მსგავსი ინსტრუმენტები, დემოკრატიის ნაწილია, მაგრამ ახლა მტკიცებულებებზე უფრო მნიშვნელოვანია, ოპოზიცია ხალხთან ერთად ჰარმონიაში იყოს იმ გლობალურ მსოფლიო პროცესებთან, რომლებიც ჩვენ გარშემო ხდება. ამ ომში უკრაინის გამარჯვების შემდეგ მსოფლიო სულ სხვაგვარი იქნება. ეს მოცემულობა ახალ პოლიტიკურ რეალობას მოიტანს საქართველოშიც. ამ დროისთვის უნდა ემზადოს ოპოზიცია. მას მოუწევს „ქართული ოცნების“ ჩამოშლა, ამ მოსამართლეების სახლში გაშვება, კანონის შეცვლა. ამისთვის უნდა ვემზადოთ.

# რაში სჭირდება ხელისუფლებას რუსეთში მცხოვრები გურამ აბსანძე?!

## მამუკა გვაძაბია: „რასაც ამ 9 აპრილის აქციისგან ველოდი, იმის 30%-ც არ იყო ის, რა შედეგიც დადგა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი მამუკა გვაძაბია პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ 9 აპრილს ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით რუსთაველზე აქცია გაიმართა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ხაზეიშვილის ორგანიზებულმა აქციამ დიდი კრახი განიცადა. რატომ არ მივიდა ბევრი ხალხი ან ასე მალე რატომ დაიშალნენ? ეს ხომ არ განაპირობა თარიღმა, არასწორად შერჩეული ხომ არ იყო?***

– ლოგიკურია დასკვნები, გამომდინარე იქიდან, რა სიტუაციაც არის. მოსახლეობაში რომ საპროტესტო განწყობაა, ფაქტია. ამას ვერავინ ვერ უარყოფს.

***– დიახ, ეს მარტის აქციებმა კარგად დაგვანახა.***

– 7-8 მარტის აქციებმა ეს ცხადყო, გეთანხმებით. მოსახლეობის უმრავლესობა ხელისუფლების მიმართ უნდობლად არის განწყობილი.

***– სწორედ ამან ხომ არ შეიყვანა შეცდომაში ლევან ხაზეიშვილი და ნაცმოძრაობის ლიდერები?***

– დიახ, ასეა. რასაც ამ 9 აპრილის აქციისგან ველოდი, იმის 30%-ც არ იყო ის, რა შედეგიც დადგა. რაც მოხდა, ნაცმოძრაობის როგორც ყოფილი, ისე ახალი პოლიტიკური მენეჯმენტის ბრალია. ყოფილს ვაბრალებ, კარგი რომ ყოფილიყო, არავინ არ გადაირჩევდა, ამათ იმიტომ ვაბრალებ, რომ მოსახლეობისა და თუნდაც საკუთარი ამომრჩევლის ის მობილიზება არ იყო საკმარისი. კაცი ხმას გაძლევდეს არჩევნებზე და აქციებზე არ მოდიოდეს, ე.ი. ძალიან ცუდი პოლიტიკური მენეჯმენტის ბრალია. ასევე ე.წ. პროდასავლური ორიენტაციის პარტიების ბრალიც არის. ქედმაღლობა, ამპარტავნობა და არათანმიმდევრულობა – აი, რა ღუპავს დღეს ოპოზიციას.

***– ამომრჩეველი არ მოსთხოვს პასუხს ლევან ხაზეიშვილს ასეთი ხელმოცარული აქციისთვის? წინა პერიოდში ისეთ განცხადებებს აკეთებდა, ყველას დიდი მოლოდინი ჰქონდა.***

– მისი განცხადებები ემსახურებოდა ამომრჩევლის მობილიზებას. გარკვეულ ეტაპზე შენი ამომრჩეველი, როდესაც შედეგს ვერ ხედავს, შენგან რადიკალიზმს ითხოვს.

***– ბატონო მამუკა, დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ვიწროპარტიული შეხედულებები არ იზიდავს. ეს ვერ გათვალეს?***

– როდესაც მსხვილი ოპოზიციური პარტია ხარ, საზოგადოების განწყობებიც კარგად უნდა გესმოდეს. ლოზუნგები ძირითადად უნდა ყოფილიყო დასავლური, ევროინტეგრაცია და ასე შემდეგ.

***– რა შედეგებს მოუტანს ეს ხაზეიშვილს, როგორც ახალ თავმჯდომარეს? არშემდგარი აქცია და პირველი დიდი კრახიო. თქვენ რას იტყვით?***

– მე არ მინდა, დავწვრილმანდე ნაციონალური მოძრაობის წარუმატებლობა-წარმატებაზე. პარტიულ ინტერესებზე უფრო მაღლა დავდგები, თუმცა ეს კრახი პარტიამ თავის თავს დააბრალოს.

***– რამდენად გამოიწვევს კეზერაშვილის გულისწყრომას? ვიცით, რომ ფინანსები მისია.***

– გამოიწვევს და რა ვქნათ ახლა. ვერც კეზერაშვილს ვერ დავუშლით, ვიღაცას ფული მისცეს და ვერც იმას დავუშლით, ვიღაცაზე განაწყენდეს.

***– ბატონო მამუკა, 9 აპრილს ასევე ზვიად გამსახურდიას მომხრეების შეკრება გაიმართა. როგორც ცნობილია, თქვენც იყავით მიწვეული. რას უკავშირდებოდა ეს შეკრება და გააქტიურება?***



– დიახ, მეც მომივიდა მოსაწვევი, რომ ფილარმონიაში ე.წ. ზვიადისტების შეკრება ტარდებოდა. ეს არის ერთი პატარა ფრთა, რომელიც ამ ხელისუფლებისადმი დიდი მხარდაჭერით გამოირჩევა. ეს ღონისძიება 9 აპრილს დაგეგმეს მათაც და მე ამას პარალელური ღონისძიება დავარქვი. მე ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ შეხვედრას ატარებდნენ. ასევე ვიცი, რომ მათ კომუნიკაცია ჰქონდათ ხელისუფლებასთან.

***– რაზე მიანიშნებთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, ეს ჯგუფი სათავისოდ გამოიყენოს?***

– დიახ, ასეა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ მათ რამდენჯერმე ჰქონდათ შეხვედრა ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამის ორგანიზატორი იყო გურამ აბსანძე, ზვიადის ხელისუფლების დროს ფინანსთა მინისტრი და ასევე – ნემო ბურჭულაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. გურამ აბსანძეს რაც შეეხება, ის დღესაც რუსეთში მოღვაწეობს, აქვს თავისი ბიზნესი. გურამ აბსანძე მონაწილეობდა ზვიად გამსახურდიას ილორში გადაყვანის ოპერაციაში და ეს რუსეთის სპეცსამსახურების გარეშე არ მოხდებოდა, გამორიცხულია. თვითონ რუსეთისკენ გაიკვალეს გზა, წავიდნენ, ზვიადი კი ტყეში მოკლეს. სხვათა შორის, შევარდნაძის თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორიც გურამ აბსანძე იყო.

***– ახლა რა ხდება, რა უნდა აბსანძეს, ან ხელისუფლებას რაში დასჭირდა?***

– რუსეთში მოღვაწეობს და აქვს კომუნიკაცია იქაურ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, აქ „ოცნების“ ხელისუფლებას ეხმარება საარჩევნოდ ზვიადისტების ხმების მობილიზებაში, „ოცნება“ კი ერთ-ორ ადგილს მისცემს პარტიულ სიაში. ხელისუფლებას ახლა ძალიან უჭირს. შემდგომი არჩევნები ძალიან რთული იქნება მისთვის. ყველა ხმა მნიშვნელოვანია. ამიტომ ცდილობენ, ზვიადისტების ეს ერთი ფრთა გამოიყენონ. მე ამ ყველაფერშიც რუსულ კვალს ვხედავ. სწორედ რუსეთს არ უნდა პროდასავლური ძალების წარმატება და მათი გამარჯვება.

# ვინ არის ქართველი მომვლელი ქალი, რომელიც იტალიაში მოხუცზე ძალადობისთვის დააკავეს

იტალიის სასამართლოში ასამართლებენ 36 წლის ქართველ ქალს, რომელსაც ბრალად ედება მოხუცზე ძალადობა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განსაცდელში მიტოვება. საქართველოს მოქალაქე გოია ტაუროს დასახლებაში მომვლელად მუშაობდა.




ის 88 წლის ლოგინად მყოფ ქალს უვლიდა. ქალის ახლობლებმა შენიშნეს, რომ მოხუცის მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდებოდა და მომვლელის კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეიტანეს.

ოჯახმა საქმეში ადგილობრივი პოლიცია ჩართო. სამართალდამცველებმა სახლში ფარული სათვალთვალო მოწყობილობა დაამონტაჟეს, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ქართველი მომვლელი მოხუცზე ფიზიკურად ძალადობდა, ღამის საათებში მას მარტო ტოვებდა და შინ მხოლოდ გამთენიისას ბრუნდებოდა.

კარაბინერებმა საქართველოს მოქალაქე სხვა მისამართზე დააკავეს, სადაც ის ასევე ოჯახის დამხმარედ მუშაობდა.

# დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას საქმე — რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება

დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის მოზარდის ანა იანუშაიტიტეს დედის ნატო ხუტაშვილის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნა, სავარაუდოდ, 10 დღეში იქნება. მისივე თქმით, მიმდინარეობს გამოკითხვები.

ცნობისთვის, ოჯახის ადვოკატის განაცხადებით, გოგონას დედა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნეს.

ადვოკატ ელისო რუხაძის განმარტებით, თბილისის პროკურატურაში ხელმძღვანელი პირები გარდაცვლილი გოგონას დედას შეხვდნენ. რუხაძის თქმითვე, უწყებამ მათ საქმის მასალებიც უკვე გადასცა.

ადვოკატის განმარტებით, გამოძიება ორ, როგორც მკვლელობის, ასევე, უბედური შემთხვევის ვერსიაზე მუშაობს, თუმცა, მისი თქმით, ამ მომენტისათვის რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი გამოკვეთილი არ არის.

– რამდენიმე ვერსია არის ამ საქმესთან შემხებლობაში მყოფ პირთან დაკავშირებით, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს ვერ მოგახსენებთ, – განაცხადა რუხაძემ.

**შეგახსენებთ, დიდ დიღომში 12 წლის მოზარდი გარდაცვლილი მიმდინარე წლის 16 მარტს იპოვეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.**

# „ამერიკელების პრეტენზიები ეხება „ქართული ოცნების“ ე.წ. ახალგაზრდულ ფრთას და არა ბიძინა ივანიშვილს“

## მირიან მირიანაშვილი: „დასავლეთში ძალიან მობეზრდათ საქართველოს ცრუ ოპოზიცია. არავის სჯერა, რომ გიორგი ვაშაძე და ბევრი მისნაირი ოპოზიციონერი გადამტერებულია ხელისუფლებაზე“

მარიამ მჭედლიშვილი

ოთხი მოსამართლის სანქცირება (მათ შორის სამი მოქმედია) რჩება იმ გადაწყვეტილებად, რომელიც სხვა პროცესებსაც იწვევს. ამ და სხვა თემებზე „ახალ თაობას“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი მირიან მირიანაშვილი.



*— „ქართული ოცნების“ ლიდერები და წარმომადგენლები კვლავინდებურად მოითხოვენ, რომ აშშ-მ წარმოადგინოს მტკიცებულებები სანქცირებულ მოსამართლეებზე ან ნათქვამი უარყოს. რას ნიშნავს ეს? რას გამოიწვევს?*

— ამ მოსამართლეებს შეზღუდვები, ფაქტობრივად, სანქციები დაუწესდათ აშშ-ის კანონმდებლობის შესაბამისად. აშშ პიონერია იმ საქმეში, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის კორუმპირებული მოხელეების მიმართ ზომების მიღება ჰქვია. ვაშინგტონი გამოძიების შედეგად აწესებს სანქციებს. გამოძიების მასალების გასაჯაროება კანონით იკრძალება.

*— ესე იგი მტკიცებულებები ვერ გამომზეურდება?*

— რასაკვირველია. ვერ მოხდება ვერც საგამოძიებო მასალების წარმოდგენა და ვერც უარყოფა. სახელმწიფო დეპარტამენტი ამას ვერ გააკეთებს. გამოძიება მიმდინარეობდა ქართველი ჩინოსნების მიმართ. დადგენილია კორუფციაში ჩართულობა. მოსამართლეებიც მათთან არიან დაკავშირებული.

*— კორუფციული დანაშაული გამოიკვეთა საქართველოს ხელისუფლების სხვა შტოებშიც?*

— ცხადია. წესით, ხელისუფლების, მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ამ მასალების გასაჯაროება არ უნდა აწყობდეთ. დანაშაულის, კორუფციული სქემების სააშკარაოზე გამოტანით გაიხსნება პანდორას ყუთი. ეს გახდება ესკალაციის საფუძველი.

*— „ქართული ოცნების“ მხრიდან სანქციებში მოყოლილი მოსამართლეების დაცვა-გამართლება რის საფუძველი გახდება? საზოგადოების აზვირთება მოსალოდნელია?*

— ამ ეტაპზე საზოგადოების აზვირთება მოსალოდნელი არ არის. საზოგადოება ცოტა ხნის წინ გამოვიდა ქუჩაში, ენერგია გაილო და შედეგს მიაღწია. საზოგადოებრივ ენერგიას აკუმულირება სჭირდება. ე.წ. წამყვანი ოპოზიციის საპროტესტო აქციები ღიმილის მომგვრელია. სინამდვილეში ეს არ არის ოპოზიცია. იმას, ვისაც ოპოზიციას ეძახიან (მათ შორის, პროდასავლურს), სხვა ფუნქცია აქვს. მისი ერთ-ერთი ამოცანაა ნამდვილი მუხტის ჩაცხრობა, დემოკრატიული ღირებულებების დისკრედიტება და სხვა. გულწრფელი საზოგადოების გამოსვლებს ჯერ არ ველი.

*— თუ საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ისევ ვერ მიიღო (ეს რამდენიმე თვეში გაირკვევა), მაშინ თუ აბობოქრდება ხალხი?*

— ამის ძალიან დიდი შანსია. ანგარიშგასაწევია რეგიონში მიმდინარე მოვლენებიც. გარე გავლენის ცენტრები, რომლებიც ჩვენი რეგიონის გადაფორმატებით არიან დაკავებული და პროცესებს კურირებენ, აპრილ-მაისში თურქეთით დაკავდებიან. თურქეთის არჩევნები ყურადღების ცენტრში ექცევა. ამ არჩევნების დროს მოსალოდნელია ერდოღანის გადარჩევა. არ არის გამორიცხული, მან არჩევნები გააყალბოს. არსებობს სამოქალაქო დაპირისპირების ალბათობა. სამზადისში იმყოფებიან ერდოღანთან დაპირისპირებული სამხედროები. ეს ყველაფერი სიტუაციურად, ემოციურად, ასევე მოვლენების ვადების თვალსაზრისით იმოქმედებს სხვებზე, პირველ რიგში, საქართველოზე. თურქეთის შიდა ამბები გამოიწვევს გარე პროცესებს. ისრაელში შიდა დაპირისპირება იყო, რითაც ისარგებლეს სხვებმა და ისრაელს მიადგა დარტყმები სირიიდან და ლიბანიდან.

*— სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში საქართველოში შეიძლება მწვავე მოვლენები განვითარდეს?*

— თურქეთის შემდეგ გადაფორმატების მხრივ მწკრივში ჩვენ ვდგავართ. საქართველოში სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს. თუ კანდიდატობა ვერ მივიღეთ, ხალხი, ალბათ, გამოვა.

*— წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ მმართველ პარტიაში ეშინიათ, პარტია (ან თავისი დაჯგუფება) დასავლეთის წაქეზებით არ შექმნას საქართველოს პრეზიდენტმა. ისიც თქვით, რომ სალომე ზურაბიშვილის მიერ თავის დროზე ჩამოყალიბებული პარტია წარუმატებელი გამოდგა. ხომ შეიძლება, მან არ შექმნას თავისი პოლიტიკური პარტია, კრიტიკულ დროს გადადგეს და გახდეს ოპოზიციის ლიდერი?*

— არა მგონია. ჯერ ერთი, დასავლეთს არანაირად არ სჭირდება, რომ სალომე ზურაბიშვილი გადადგეს და პარტია შექმნას. ის უნდა იყოს მთავარსარდალი, სიმბოლო, პრეზიდენტის ფუნქციების შემსრულებელი. დასავლეთს ურჩევნია, მან თავისი ფუნქციები მომავალშიც შეასრულოს. პრეზიდენტს ქვეყნის შიგნით დიდი გავლენა არა აქვს. სამაგიეროდ, ის ქვეყნის გარეთ კარგად ართმევს თავს საკუთარ ამოცანებს. ოპოზიციის ლიდერად მას საერთოდ ვერ წარმოვიდგენ.

*— სალომე ზურაბიშვილის მიერ პარტიის შესაძლო შექმნის თემა დღის წესრიგიდან არ ჩამოდის.*

— ეს ხდება რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით. რუსები, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობა გაშიფრულია. ამ პარტიას დასავლეთში არ ენდობიან და არ თვლიან პროდასავლურ ძალად. რუსეთში აინტერესებთ, რომელი პარტიის დახმარებით აპირებენ ამერიკელები გადაფორმატებას, სისტემის მთლიანად შეცვლას. ვიტყოდი, რომ ეს პრიმიტიული და უგუნური მიდგომაა. გადაფორმატებას არანაირი პარტია და პარტიები არ სჭირდება. წარმოვიდგინოთ, რომ იქმნება პარტია. სალომე ზურაბიშვილმა პარტია რომ დააარსოს, იქ რუსები თავიანთ აგენტურას შეაგზავნიან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ისევე, როგორც სხვა ფსევდოდასავლური ოპოზიცია, გავსებულია რუსეთის აგენტურით. რისთვის სჭირდებათ ამერიკელებს ნაციონალური მოძრაობა ნომერი ორი? მათ სისტემის ძირფესვიანად შესაცვლელად პარტია არ სჭირდებათ. თუ სალომე ზურაბიშვილი გარკვეული დროის შემდეგ შექმნის პოლიტიკურ პარტიას, ეს იქნება მისი პირადი ნება და პოლიტიკაში ყოფნის სურვილი.

*— ქართველი ჩინოსნების კორუფციული საქმიანობა ახსენეთ, რაც, თქვენივე სიტყვებით, ამერიკაში გამოიძიეს. არსებობს აზრი, რომ სანქციებს დაუწესებენ მოხელეებსაც და ბიზნესმენებსაც. სახელდება ვანო ჩხარტიშვილის გვარი. მოსამართლეების გარდა, ვინ მოექცევა კიდევ სანქციებში?*

— სანქციებში მოექცევიან ჩინოსნები. ჩხარტიშვილი შედის ბიზნესმენების ე.წ. ლონდონურ ჯგუფში. ამ ჯგუფის საქმიანობა ამერიკაში შესწავლილია. ის ითვლება რუსული ოლიგარქატის პერიფერიულ განშტოებად. პირადად ჩხარტიშვილს, როგორც ვიცი, ორი ანგარიში უკვე დაყადაღებული აქვს. ასე რომ, ბიზნესმენებს სანქციები უკვე შეეხოთ. სხვა შეზღუდვებიც დაუწესდებათ.

*— მოსამართლეების სანქცირება სარჩულად დაედო ახალ ანტიამერიკულ გამონათქვამებს. ამ მხრივ ზოგიერთმა მოსამართლემ რუსულ პროპაგანდასა და ნიკოლას მადუროს გადააჭარბა. ამას როგორ დაახასიათებთ?*

— ანტიამერიკული კამპანია, ანტიდასავლური ისტერია დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ამას კარგა ხნის ისტორია აქვს. უნდა გითხრათ, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა („ქართული ოცნებაც“ და ე.წ. ოპოზიციაც) პანიკაში იმყოფება. ეს პოლიტიკური ელიტა ერთმანეთთან დაპირისპირებული არ არის. მმართველი პარტია და ე.წ. ოპოზიცია უმეტეს შემთხვევაში გარიგებულია ერთმანეთთან. ყველა ეს პოლიტიკოსი შეშინდა. სისტემის შეცვლა არ აწყობთ. ეს ხალხი პანიკაშია და ახდენს ანტიამერიკული გამოსვლების ორგანიზებას. მოსამართლეები, რომლებმაც ბოლო დროს ანტიამერიკული განცხადებები გააკეთეს, დამოუკიდებლად არ მოქმედებენ. ამ მოსამართლეებს საინფორმაციო ინსტრუმენტად იყენებენ, მათ ტექსტებსაც სხვები უწერენ.

ფობიების თემას გავაგრძელებ. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ როლსა და მის მიმართ საყვედურებზე არანაირი საუბარი არ მიდის. ამერიკელების პრეტენზიები ეხება „ქართული ოცნების“ ე.წ. ახალგაზრდულ ფრთას და არა ბიძინა ივანიშვილს.

*— შეზღუდვები მოსალოდნელია ჩინოსნებისა და ამ ფრთის მიმართ?*

— დიახ. ნუსხაში არიან სხვა ადრესატები და არა ბიძინა ივანიშვილი. „ახალგაზრდული ფრთის“ მიმართ ამერიკელებმა არაერთხელ გამოთქვეს შენიშვნები. ბიზნესმენებზე მკითხეთ. „ლონდონურ დაჯგუფებაზე“ დარტყმამ შეიძლება გადაასწროს შეზღუდვებს ქართველი ჩინოსნების მიმართ. ვითომ ოპოზიციონერი ვაშაძე დაკავშირებულია ჩხარტიშვილთან. უნდა გითხრათ, რომ დასავლეთში ძალიან მობეზრდათ საქართველოს ცრუ ოპოზიცია. იქ არავის სჯერა, რომ გიორგი ვაშაძე და ბევრი მისნაირი ოპოზიციონერი გადამტერებულია ხელისუფლებაზე. ასე რომ, სანქცირებაც იქნება და ძვრებიც.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს“

— მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს. სასამართლო ჩვენი მმართველობის დროს გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი როგორც შიდა, ასევე სხვა ქვეყნების მხრიდან ჩარევებისგან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ, უზენაეს სასამართლოში, ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სუვერენული ქვეყნის სუვერენულ სასამართლოში ნებისმიერი ქვეყნის ჩარევა მიუღებელია.

— დიდი მადლობა, ქალბატონო ნინო, დღევანდელი შეხვედრისთვის. მე მინდა ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, რომ მქონდა შეხვედრა ქალბატონ ნინოსთან, ასევე მოსამართლეებთან, საბჭოს წევრებთან. ჩემი მთავარი გზავნილი იყო და არის შემდეგი: მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს. სასამართლო ჩვენი მმართველობის დროს გახდა დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოველგვარი ჩარევისგან, როგორც შიდა ჩარევებისგან, ასევე სხვა ქვეყნების მხრიდან ჩარევებისგან. რა თქმა უნდა, მიუღებელია ყოველგვარი ჩარევა ან რაიმე გავლენის მოხდენა მოსამართლეებზე. ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი ჩემთვის, ჩვენთვის ყველასთვის, მით უმეტეს, სუვერენული ქვეყნის, სუვერენულ სასამართლოზე და მოსამართლეებზე. მე ასევე დავუდასტურე პატივცემულ მოსამართლეებს ჩვენი სრული მხარდაჭერა. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დავიცვათ სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლოს თავისუფლება ყოველგვარი ჩარევებისგან, ყოველგვარი ზეწოლისგან. ეს არის ჩვენი გაცხადებული პოლიტიკა და მთავარი მიზანი, რომლისკენაც ჩვენ, მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, ვისწრაფვით. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში გავატარეთ ფუნდამენტური რეფორმები სასამართლოში იმისთვის, რომ სასამართლო გამხდარიყო ისეთი, როგორიც არის დღეს — დამოუკიდებელი და თავისუფალი. თავისუფალი, დამოუკიდებელი ყოველგვარი ჩარევებისგან. მე კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, რა თქმა უნდა, მიუღებელია და არ შეიძლება დავუშვათ სუვერენული ქვეყნის სუვერენულ სასამართლოში ნებისმიერი ქვეყნის ჩარევა, იქნება ეს შიდა ჩარევა, მთავრობის მხრიდან თუ სხვა, ნებისმიერი სხვა შტოს მხრიდან ჩარევა. ასევე, რა თქმა უნდა, დაუშვებელია სხვა ქვეყნების მხრიდან ჩარევა ჩვენი სასამართლოს შიდა საქმეებში. მოსამართლეების მიმართ კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო ჩვენი მხარდაჭერა, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, შეხვედრა იყო დახურული და საუბრის შინაარსი ვერ გასაჯაროვდება, თუმცა მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მოისმინა შემაშფოთებელი ინფორმაციაც გარკვეულ ჩარევებსა და ზეწოლებზე, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს იყო დახურული შეხვედრა ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი საუბრის შინაარსს მე ვერ გაგიზიარებთ. მე მოვისმინე ძალიან ბევრი ინფორმაცია, მათ შორის შემაშფოთებელი. მე ვიტყოდი, იყო ინფორმაცია გარკვეული ზეწოლის, ჩარევების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არის აბსოლუტურად მიუღებელი და ასევე მოვისმინე ძალიან ბევრი კარგი ინიციატივა და ახალი იდეები, რომლებიც არსებობს საბჭოში და ამის თაობაზე გვქონდა საუბარი, — აღნიშნა პრემიერმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, მიიღო თუ არა პრემიერმა დიმიტრი გვრიტიშვილისგან ინფორ-



მაცია ზეწოლაზე, მთავრობის მეთაურმა ასე უპასუხა:

— მე გიდასტურებთ, რომ მივიღე ეს ინფორმაცია. ამის თაობაზე მოგახსენებთ მოგვიანებით. მივიღე ინფორმაცია, მოვისმინე ბატონი დიმიტრისგან, სხვა მოსამართლეებისგან, საბჭოს წევრებისგან. ეს იყო დახურული შეხვედრა. მე ამ ფაქტებზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მოვა დრო და ამას საზოგადოება გაიგებს, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლების სურვილია, რომ კიდევ უფრო მეტად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერი სასამართლო გვქონდეს.

— მე გეტყვით, რომ ჯერ ერთი, არათუ მე, არამედ არცერთ მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისა არ უნახავს არცერთი მტკიცებულება, რომელიც თან ახლდა ამ გადაწყვეტილებას, რომელზეც თქვენ ახლა საუბრობთ. შესაბამისად, ჩემთვის დიდ კითხვის ნიშანს აჩენს ეს გადაწყვეტილება, სამწუხაროა და გაუგებარია, ამის თაობაზე თქვენ ალბათ გაეცანით საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას და წერილს, რომლითაც მან მიმართა თავის კოლეგას. მე ვფიქრობ, სიმართლე გაირკვევა, ჩვენ გვექნება საუბარი ჩვენს პარტნიორებთან და არცერთი პასუხგაუცემელი კითხვა არ დარჩება. მე ამის მჯერა.

ეს იყო „სიურპრიზი“ ჩემთვისაც და ჩვენთვისაც, მე არასოდეს მომისმენია, რომ რაღაც გარკვეული კითხვები არსებობდა. ალბათ პირიქით უნდა მომხდარიყო და, თუ ასეთი ფაქტები ვინმეს აქვს, ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, ყოველთვის მოვისმინოთ. ერთი რამ მინდა ვთქვა ხაზგასმით: მიუღებელი და დაუშვებელია სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებელ სასამართლოში რაიმე ფორმით ჩარევა ან ნებისმიერი გადაწყვეტილება, ქმედება თუ განცხადება, რომელიც აღქმას შექმნის, განცდას შექმნის სასამართლოში რაიმე ფორმით ჩარევის. ეს არის დაუშვებელი.

ხელისუფლებები, მთავრობები აკეთებენ ყველაფერს, რომ მაქსიმალურად გააძლიერონ დამოუკიდებელი სასამართლოები. ყველა ქვეყანაში ესაა ერთგვარი ტაბუ, რომ არ შეიძლება, მიუღებელია, უკანონოა მოსამართლეზე ზეწოლა და სასამართლოში ჩარევა. მე გიყვებით ზოგადად, ჩვენ ამ პოლიტიკას მივდევთ, როგორც მთავრობა და ამ პოლიტიკას კიდევ უფრო მეტად განვამტკიცებთ. ესაა ჩვენი საერთო სურვილი, რომ კიდევ უფრო მეტად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერი სასამართლო გვქონდეს, — განაცხადა პრემიერმა.

— მართლმსაჯულების ინდექსის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა და მათ შორის კორუფციის აღქმის რეიტინგებში 11 ევროკავშირის წევრ ქვეყანასა და 13 ნატოს წევრ ქვეყანას უსწრებს, სასამართლოს მიმართ ნდობა ისტორიულ მაქსიმუმზეა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ უზენაეს სასამართლოში, ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მოქალაქეებს სიამაყის განცდა უნდა ჰქონდეთ იმის გამო, რომ ჩვენი სასამართლო ბევრ ევროპულ სასამართლოზე წინ დგას.

# ბადრი ჯაფარიძე: „ე.წ. ფულის გათეთრების საქმესთან დაკავშირებით სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეგვაქვს“

პარტია „ლელოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ბადრი ჯაფარიძის განცხადებით, ე.წ. ფულის გათეთრების საქმესთან დაკავშირებით, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეაქვთ.

როგორც ბადრი ჯაფარიძემ „ლელოს“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, დაცვის მხარე აპირებს, რომ ყველა შიდასამართლებრივი ბერკეტი გამოიყენოს, ვიდრე საერთაშორისო სასამართლოს მიმართავს.

– ჩვენმა საზოგადოებამ და საერთაშორისო საზოგადოებამ კარგად იცის იმ დევნის შესახებ, რომელიც უკვე 4 წელიწადია, ჩემი და მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ეს დევნა „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის დაკვეთილი იყო და პროკურატურამ და სასამართლომ განახორციელეს. ცხადია, რომ სასამართლოში, სანქცირებული კლანის დაკვეთით, უმსგავსო გადაწყვეტილებებს იღებენ. სწორედ ეს კორუმპირებული კლანი იდგა იმ სასამართლო გადაწყვეტილების უკან, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ მიიღეს. ჩვენ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებთ. ამ დევნის მიზანი ჩვენი რეპუტაციის შებღალვა იყო, რაც არ გამოუვიდათ. მანამ, სანამ საერთაშორისო სასამართლოს მივმართავთ, ვაპირებთ, ყველა სამართლებრივი გზა გამოვიყენოთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სასამართლო სრულად დაქვემდებარებულია.



სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა შევიტანოთ. მთელი ეს პროცესი კანონის უზენაესობის ფეხქვეშ გათელვა იყო. ამ სარჩელით, ვაპირებთ, თვალსაჩინო გავხადოთ, რამდენად სამარცხვინო იყო სასამართლოს გადაწყვეტილა. ბრძოლა გრძელდება მანამ, ვიდრე ეს უსაფუძვლო კამპანია სრულად არ განადგურდება, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

ადვოკატ ზვიად კორძაძის განცხადებით, ეს საჩივარი საბოლოო განაჩენზე პირდაპირ გავლენას იქონიებს, რა ფორმითაც არ უნდა დადგეს ის.

– განაჩენი უზენაეს სასამართლოში გვაქვს გასაჩივრებული. ამის პარალელურად, დღეს სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანთ. გარდა იმისა, რომ პროცესი მთლიანად უკანონოა, ამავდროულად, ის ანტიკონსტიტუციურია, – აღნიშნა ზვიად კორძაძემ.

შეგახსენებთ, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარედგინათ 2019 წლის 24 ივლისს ჯგუფურად 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით). რაც შეხება ავთანდილ წერეთელს, პროკურატურა ბიზნესმენს ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავებოდა. ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე ბრალდებულები – მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო. თუმცა, მოსამართლემ სამივე მათგანს მუხლის კვალიფიკაცია შეუცვალა და ისინი ჯგუფურ თაღლითობაში ცნო დამნაშავედ და თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 7 წლის ვადით, მაგრამ მუხლის ხანდაზმულობის გამო ისინი დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდნენ. შემდგომში, სააპელაციო სასამართლომ მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი ჯგუფურ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო, რითაც საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

## ვარკეთილში მამაკაცი მოკლეს – მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია

თბილისში, ვარკეთილში, მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცს ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## ექსპერტიზის დასკვნით, ბანკზე თავდამსხმელისა და ბადრი ესებუას ხმები იდენტურია



„საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებულ ბადრი ესებუას საქმის პროკურორ მირანდა წერეთლის განცხადებით, გუშინდელ პროცესზე დაიკითხა ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი, რომელმაც ბადრი ესებუასა და „საქართველოს ბანკზე“ თავდამსხმელის ხმა ერთმანეთს შეადარა. მისი თქმით, ექსპერტიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ თავდამსხმელისა და ესებუას ხმები იდენტურია.

– ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულება გამოვიკვლიეთ, დღეს დავკითხეთ ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი, რომელმაც დაადასტურა, რომ ბრალდებულის ხმა არის იდენტური იმ საკვლევი ნიმუშებისა, რომლებიც წარდგენილი იყო, ეს გახლავთ ბატონ ავთანდილ გალდავასთან საუბრის დროს ჩაწერილი ხმის ნიმუში, რომელიც დაემთხვა ბრალდებულ ბადრი ესებუას ხმის ნიმუშს, ასევე 112-ში განხორციელებული სატელეფონო კავშირი, ასევე ლევან ჯოჯუასთან ჩაწერილი სატელეფონო საუბრის ხმის ნიმუში და აღმოჩნდა, რომ ბადრი ესებუა ესაუბრებოდა მას, – განაცხადა მირანდა წერეთელმა.

ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ესებუას უფლებადამცველების შუამდგომლობა ხმის ნიმუშების გამოთხოვის შესახებ, რათა ალტერნატიული ექსპერტიზა ჩატარებულიყო. შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარეც და მიიჩნევს, რომ სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

– დაცვის მხარე ითხოვდა უკვე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების ხელახლა დასაშვებ მტკიცებულებად ცნობას, რაც შეუძლებელია სსსკ-ით. სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, ანალოგიური პოზიცია გამოხატა ბრალდების მხარემ დაცვის მხარის შუამდგომლობაზე სასამართლო განხილვის ეტაპზე. სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ერთხელ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება შეუძლებელია კვლავ იქნეს განხილული და მეორედ მოხდეს მისი დასაშვებობა, – განაცხადა მირანდა წერეთელმა.

ბრალდების მხარემ გუშინ ასევე გამოიკვლია გარკვეული სახის ნივთიერი მტკიცებულებები.

– პირველ რიგში, ეს გახლდათ სუნის ნიმუშები უშუალოდ ბრალდებულისგან და შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის ნიმუშები, ავტომანქანიდან აღებული მანქანიდან აღებული სუნის ნიმუში, ანუ ეს ის ავტომანქანაა, რომლითაც ბრალდებული მივიდა „საქართველოს ბანკის“ შენობამდე. ასევე გამოკვლეულ იქნა კიდევ ერთი ავტომანქანიდან აღებული სუნის ნიმუშები. ეს ის ავტომანქანაა, რომლითაც ბრალდებული მძევლებთან ერთად გადაადგილდებოდა, – განაცხადა მირანდა წერეთელმა.

## პროკურატურამ ფონიჭალაში მამის განზრახ მკვლელობის საქმეზე დაკავებულს ბრალი წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ თბილისში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 8 აპრილს, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკებისას ბრალდებულმა მამას დანით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირი იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

## შს სამინისტრო თბილისში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ე.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 9 აპრილს, თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1972 წელს დაბადებულ მ.შ.-ს.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ე.მ. ცხელ კვალზე დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## ქუთაისში ავტობუსი ქვეითს დაეჯახა

ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. ჭავჭავაძისა და ასათიანის ქუჩების კვეთაზე ავტობუსი ქვეითს დაეჯახა. მოქალაქე ადგილზე დაიღუპა.

ადგილზე სამართალდამცველები არიან მობილიზებული.

### საერთაშორისო

## რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიე დაბომბეს



დანაკარგებით გაბოროტებულმა რუსმა ოკუპანტებმა ქალაქი ზაპოროჟიე დაბომბეს. რამდენიმე ყუმბარა კერძო სექტორს დაეცა. შედეგად დაინგრა სახლები. არიან დაშავებულები მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

დაღუპულთა შორის აღმოჩნდნენ 7 წლის გოგონა და მისი 50 წლის მამა. დედის გადარჩენა მოხერხდა. მისი მდგომარეობა მძიმეა.

## რუსეთის საპატრიარქოს იდეური მარცხი



ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს უკრაინა გაძლიერებული ეკლესიით შეხვდა. საუბარია უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიაზე. თუ შარშან მის მომხრეთა რაოდენობა 77% იყო, დღეს ის უკვე 89%-ს აღწევს. ასეთია როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემები.

რუსეთის საპატრიარქო გასაგები მიზეზების გამო ამ მონაცემებს არ ეთანხმება. თანახმად ინფორმაციისა, ბზობის დღესასწაულზე კიევში იგეგმებოდა მასობრივი მსვლელობა ჯვრით.

რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე კიევო-პეჩერსკის ლავრაში წირვაზე მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი შეიკრიბა. ისინი ძირითადად ხანდაზმული მოქალაქეები იყვნენ. მათი ადრინდელი აგრესიულობაც გაქრა. ისინი აღარ ილანძღებოდნენ, აღარ იმუქრებოდნენ, თავდახრილნი უხმოდ იდგნენ, ზოგი მათგანი ტიროდა კიდეც.

მოსკოვის პატრიარქმა კირილმა ამას თავისებური ახსნა მოუძებნა:

– უკრაინელი მორწმუნეები ბანდერელთა ტერორის ქვეშ იმყოფებიან! სანამ კიევს რუსული არმია არ გაათავისუფლებს, საქმეს არ ეშველება, – ასკვნის პატრიარქი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## დათვი ძაღლით მოსეირნე ქალს თავს დაესხა



იაპონიის ჰოკაიდოს პრეფექტურაში დათვი თავს დაესხა ქალს, რომელიც ძაღლს ასეირნებდა.

მტაცებელმა ცხოველმა საპორტო ქალაქ კუსიროს მცხოვრები 37 წლის ქალი დაასახიჩრა. ქალი დათვს შაბათს, 1 აპრილს, დაახლოებით დილის ცხრა საათზე გადააწყდა. ცხოველი ძაღლით მოსეირნე ქალს მაშინვე თავს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა.

ქალმა დახმარებისთვის იქვე მახლობლად მცხოვრებ ნათესავს მიმართა, რომელმაც ის უახლოეს სახანძრო განყოფილებაში მიიყვანა. იქიდან დაშავებული შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას დაზიანებები თავისა და ფეხის არეში აქვს მიყენებული. ექიმების თქმით, საავადმყოფოში მიყვანის დროს ქალი გონზე იყო და საუბარსაც ახერხებდა.

აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ქალაქის ადმინისტრაციამ ინციდენტის ადგილზე მონადირეების გაგზავნა მოითხოვა. ქალაქის პოლიციამ ქუჩებში პატრულირება გააძლიერა და მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდა.



## გოგონამ ანკესით ლოქო დაიჭირა და ორი მსოფლიო რეკორდი მოხსნა

აშშ-ის მცხოვრებმა გოგონამ 28,58 კილოგრამის წონის თევზი დაიჭირა და, სპორტული თევზაობის საერთაშორისო ასოციაციის ვერსიით, ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ალექსანდრა ჰოლმა ორი მსოფლიო რეკორდი იმ დროს მოხსნა, როდესაც ის ვირჯინიის შტატში მდინარე ჯეიმსზე სათევზაოდ იმყოფებოდა. გოგონას ათი წუთი დასჭირდა მის ანკესზე წამოგებულ მოზრდილ თევზთან გასამკლავებლად. გაირკვა, რომ მან ცისფერი ლოქო დაიჭირა.

მიმდინარე წლის მარტში ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ჰოლმა ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდის დამხობა მოახერხა. ის ქალთა შორის ათი კილოგრამის დატვირთვის ანკესით თევზჭერაში საუკეთესო გახდა და ასევე საუკეთესოა იუნიორ გოგონათა შორის.

რეკორდის დარეგისტრირებისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო მონაცემის დაფიქსირების შემდეგ ჰოლმა თევზი მდინარეში დააბრუნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვინ გაასაჯაროვა პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები?!



უკრაინელთა მასირებული კონტრშეტევის დაწყების წინ მსოფლიო შეძრა სენსაციურმა ინფორმაციამ: პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც უკრაინას, ჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთს შეეხება, სოციალურ ქსელებში მოხვდა.

უკრაინასთან დაკავშირებული დოკუმენტები მართლაც რომ საოცარია. მათში საუბარი არ არის კონტრშეტევის დაწყების თარიღზე ან მიმართულებაზე, არც იმაზე, თუ რა ძალებით და როდის გადავა უკრაინა იერიშზე. სამაგიეროდ, დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორი და რამდენი ახალი ბრიგადა მოამზადეს უკრაინელებმა, როგორია მათი აღჭურვილობა ან რა განწყობილებები სუფევს იქ. ეს ინფორმაცია მეტ-ნაკლებად დამაჯერებელია. დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ამერიკელმა ინსტრუქტორებმა უკრაინელი ჯარისკაცები გაწვრთნეს, შეაიარაღეს და ა.შ.

ამის შემდეგ იწყება პროპაგანდისტული მომენტები:

– დოკუმენტებში ნათქვამია, რომ თითქოს უკრაინამ უკვე 700.000 ჯარისკაცი დაკარგა, რუსეთმა კი მხოლოდ 15.000, – იტყობინება „ბიბისი".

სინამდვილეში, უკრაინელთა დანაკარგი მხოლოდ 30.000-ია, რუსებისა კი – 176.000. ამერიკელთა მონაცემები ამისაგან განსხვავდება. მათ თანახმად, უკრაინელებმა უკვე 30.656 მეომარი დაკარგეს, რუსებმა კი – 250.000. შესაბამისად, როგორც ჩანს, რუსებმა ამერიკელთა „დოკუმენტები" გულდასმით შეასწორეს ან, რაც უფრო დასაჯერებელია, თავად შეთითხნეს. ასე ფიქრობენ ბიბისი-ს ანალიტიკოსები.

აღსანიშნავია ვაშინგტონში სუკის ექსრეზიდენტიური შვეცის მოსაზრება. მისი აზრით, დოკუმენტები სუკის ლაბორატორიებშია დამზადებული.

ნებისმიერი დეზინფორმაცია შემთხვევით არ ვრცელდება. ამას თავისი მიზანი აქვს. შვეცის აზრით, ხსენებული თეზის გავრცელება ორ მიზანს ისახავს: 1) მოახდინოს აშშ-ის, როგორც სახელმწიფოს დისკრედიტაცია; 2) ჩამოაგდოს უნდობლობა ამერიკელებსა და უკრაინელებს შორის, აქაოდა, აშშ-ის სპეცსამსახურებიდან ინფორმაციები გადის, იქ ყველაფერი იყიდება, შესაბამისად, ამერიკელებთან საქმის დაჭერა არ შეიძლება.

პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები პირველად სოციალურ ქსელებში მარტის ბოლოს გამოქვეყნდა. ამას არავინ ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ ისინი უკვე გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა. ამით რუსებმა მიზანს მიაღწიეს. სკანდალი აზვირთდა.

ბევრს ავიწყდება ერთი საგულისხმო დეტალი: „პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები" რომ სიმართლეს შეეფერებოდეს, მათ ინფორმაციას რუსები არ გაასაჯაროვებდნენ. ისინი, უბრალოდ, დაადგენდნენ მოსალოდნელი კონტრშეტევის თარიღს, მიმართულებას, შემდეგ კი უკრაინელებს სათანადო სიურპრიზებსაც მოუწყობდნენ. ასე მოხდა 1921 წელს, როცა სიმონ პეტლიურას (1877-1926) მეთაურობით უკრაინელები კონტრშეტევას გეგმავდნენ.

ამჯერად პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები გასაჯაროვდა.



# ბაიდენმა მთელი მსოფლიოს მორწმუნეებს აღდგომა მიულოცა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა მორწმუნეებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. ამავე დროს, მან მოუწოდა, მათ ილოცონ იმ ხალხზე, ვინც აღდგომას ბომბების ქვეშ შეხვდება.

– მოგიწოდებთ, ილოცოთ უკრაინელი ხალხისათვის, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის და აღდგომას რუსული ბომბების ქვეშ ხვდება, – თქვა ბაიდენმა.

# ოკუპანტების წინსვლა ბახმუტში შეჩერებულია



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. რუსების შეტევითი პოტენციალი მკვეთრად დაეცა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეტევები საერთოდ შეწყდა.

რუსებმა უკანასკნელ დღეებში ბახმუტზე მხოლოდ 40 შეტევა განახორციელეს. ეს მაშინ, როცა წინა დღეებში შეტევები 45-ს აღწევდა, ხოლო სულ რაღაც ერთი თვის წინ ბახმუტზე იერიშები დღე-ღამეში 100-150 იყო. შედეგი სახეზეა. ოკუპანტების წინსვლა ბახმუტში შეჩერებულია. პუტინი ამ ქალაქის აღებას ამა წლის 2 თებერვალს გეგმავდა. უკვე აპრილია, ბახმუტს კი კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ.

გრძელდება ბრძოლები ავდეევკასა და მარინკასთანაც. ჩაიშალა რუსების მცდელობა, „კოტიოლში" მოექციათ ავდეევკა. ასევე ვერც ავდეევკისათვის გვერდის ავლა მოხერხდა. რაც შეეხება მარინკას, იქ ვითარება უცვლელია. უკრაინელები ინარჩუნებენ პოზიციებს, რომლებიც რამდენიმე დღის წინ დაიბრუნეს.

საინტერესო ვითარება შეიქმნა უკრაინის სამხრეთით. მელიტოპოლში (ზაპოროჟიეს ოლქი) აფეთქებათა სერია გრძელდება. ოკუპანტებმა ამას ვერაფერი დაუპირისპირეს. ასევე გრძელდება აფეთქებები ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში, აგრეთვე ყირიმში, კერძოდ, ჯანკოიში, სიმფეროპოლში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში, იალტაში.



# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

განვლილი დღეების განმავლობაში რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგები გაიზარდა. უკრაინის გენშტაბის ცნობით, დღეისათვის ციფრები შემდეგია: ტანკები – 3.636 (+0); ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.024 (+4); თვითმფრინავები – 307 (+0); განადგურებულია 180.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## მალამო მენტორი პირველი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

## სპრეი მენტორი 7

გრიპის, გაცივების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

**ტელ 599-73-48-21, 598-73-48-21**


2023, 11 აპრილი, №71

სპორტი

# ოლიმპიადაზე ახალი დისციპლინა გამოჩნდება



მსოფლიო მძლეოსნობამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტულ სიარულში ახალი დისციპლინის ფორმატი დაამტკიცა. კერძოდ, სოკ-მა 2020 წელს გენდერული თანასწორობის ასამაღლებლად ოლიმპიურ თამაშებზე კაცებში 50 კილომეტრზე ასპარეზობის შერეული ესტაფეტით შეცვლა გადაწყვიტა.

ახალი დისციპლინა მარათონულ მანძილზე (42,196 კილომეტრი) ასპარეზობას ითვალისწინებს. გუნდში იქნება თითო კაცი და ქალი, რომლებიც ოთხად დაყოფილ მარათონული მანძილს ერთმანეთის მონაცვლეობით გაივლიან (კაცი, ქალი, კაცი, ქალი). ასევე ცნობილია, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მისი დებიუტი შედგება 2024 წლის 7 აგვისტოს.

სპორტულ სიარულში 50 კილომეტრზე ასპარეზობა ბოლოს წარმოდგენილი იყო 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც პოლონელი დავიდ ტომალას ჩემპიონობით დასრულდა.

სპორტული სიარულის ოლიმპიური დებიუტი 1932 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

# ეროვნული ბიბლიოთეკა უდიდესი გამოწვევის წინაშეა



საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა უდიდესი გამოწვევის წინაშეა:

– ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია, რომელიც უკვე ათწლეულებია დაკეტილია, ჩვენი გუნდის უმთავრესი მიზანია. ამგვარი სამუშაოები საკუთარ თანმიმდევრობას გულისხმობს: პირველი იყო შენობის გამაგრებითი სამუშაოები, რომელმაც, სახელმწიფოს დახმარებით, რამდენიმე წელი მოიცვა, შემდეგ ამას მოსდევს რეაბილიტაციის პროექტის მომზადება – ესეც მზად გვაქვს. გამაგრების შემდეგ, ამავე სივრცეში, სახელმწიფოს, კერძო ბიზნესებისა და საელჩოების დახმარებით, სამი უმნიშვნელოვანესი სივრცე მოეწყო და ერთზე მუშაობა დავიწყეთ – წიგნის მუზეუმი, ჰრინევსკის ხელოვნების დარბაზი, ე.წ. იშხნის კომპლექსი, სადაც არაერთი განყოფილება იყრის თავს და ამ წელს გაიხსნება დამწერლობის მუზეუმი.

წლეულს ვიწყებთ პირველი და მეორე კორპუსის ელგაყვანილობისა და კლიმატკონტროლის მოწყობას, რომელიც უმასშტაბურესი სამუშაოა. ამის შემდეგ იგეგმება იმ ორი ლეგენდარული დარბაზის გახსნა. პროცესი რთულია – ერთი მხრივ, უნდა შევინარჩუნოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ავთენტურობა, მეორე მხრივ – სივრცე უნდა იყოს თანამედროვე და თანაც ადაპტირებული. ამ მიმართულებით უკვე არაერთი კვალიფიციური სპეციალისტი მუშაობს. ჩვენი ბიუჯეტი დიდი არ არის, რომ სინქრონულად ყველა სამუშაოს ეყოს. თუ სახელმწიფო გამოყოფს დამატებით სახსრებს ან რომელიმე მსხვილი ბიზნესი შეგვეშველება ამ საუკუნის საქმეში, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, – ნათქვამია ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი



# პენსიონერს განძის ძებნა დაუფასდა

ხანდაზმულმა ბრიტანელმა სტივ სიმონსმა გადაწყვიტა, განძის ძებნით დაკავებულიყო და ორი თვის თავზე მან 24 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ძველ მონეტებს მიაგნო.

63 წლის მამაკაცი წლების განმავლობაში დევონშირის საგრაფოს ქალაქ ექსეტერში რესტორნის მეპატრონე იყო, 2020 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ კი გადაწყვიტა, ლითონმაძიებელი ხელსაწყოს დახმარებით განძის ძებნით დაკავებულიყო. პირველი ორი თვის განმავლობაში ახლადმოვლენილმა განძისმაძიებელმა ვერაფერს მიაგნო, თუმცა შემდეგ უილტშირის საგრაფოში, დასახლება ბოკსის მახლობლად, ორ უძველეს მონეტას გადააწყდა. პენსიონერმა ნაპოვნი მონეტები სახლში მიიტანა და მალე გაარკვია, რომ ისინი XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის ეპოქას განეკუთვნებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ სიმონსი იმავე ადგილზე დაბრუნდა და დაახლოებით ნახევარი მეტრის სიღრმეში კიდევ 12 ანალოგიურ მონეტას მიაგნო. აღნიშნული მონეტები 1606-დან 1643 წლების პერიოდშია დამზადებული, როდესაც ქვეყანას ჯერ მეფე იაკობ I და შემდეგ კარლოს I მართავდნენ.

სპეციალისტები თვლიან, რომ პენსიონერის მიერ ნაპოვნი მონეტები, სავარაუდოდ, 1643 წლის 5 ივლისს, ლენსდაუნის ბრძოლის წინ, როიალისტების არმიის ერთ-ერთმა ოფიცერმა დამალა.

10 ფუნტის ნომინალის 14 მონეტა იმ დროში დიდ ქონებად ითვლებოდა, დღესდღეობით ერთი ასეთი მონეტის ღირებულება ორი ათასი ფუნტია, XVII საუკუნის პირველ ნახევარში კი ერთი ასეთი მონეტით ცხენის ყიდვა იყო შესაძლებელი.

განძის მპოვნელმა სტივ სიმონსმა მონეტების აუქციონზე გატანა და გაყიდვა გადაწყვიტა.

# მამაკაცმა უარმყოფელი შეყვარებულის ოფისის წინ მთელი ღამე მუხლებზე მდგომმა გაატარა



ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ქალაქ დაჩჟოუს მცხოვრებმა მამაკაცმა მთელი ღამე წვიმაში თავისი შეყვარებულის, რომელმაც მას უარით უპასუხა, ოფისის წინ მუხლებზე მდგომმა გაატარა იმის იმედით, რომ ის მას დაუბრუნდებოდა.

მამაკაცი ვარდების დიდი თაიგულით შეყვარებულის ოფისთან 28 მარტს, დაახლოებით დღის 13:00 საათზე მივიდა და მუხლებზე დაიჩოქა იმის იმედით, რომ ქალის კეთილგანწყობას დაიბრუნებდა. გამვლელები და ადგილობრივები მამაკაცს სთხოვდნენ, ეს აქცია შეეწყვიტა, თუმცა ის უკანდახევას არ აპირებდა.

გამვლელებმა ამის შესახებ პოლიციას აცნობეს. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ასევე შეეცადნენ, მამაკაცი დაერწმუნებინათ, უარი ეთქვა თავის განზრახვაზე.

მამაკაცმა ასეთ მდგომარეობაში წვიმაში მეორე დღის 10:00 საათამდე გაატარა. საერთო ჯამში, მან მუხლებზე მდგომმა 21 საათი დაჰყო, რის შემდეგაც იქაურობა დატოვა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, მამაკაცმა იქაურობა მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, როდესაც სიცივის ატანა შეუძლებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელიც მამაკაცმა მუხლებზე მდგომმა გაატარა, მისი ყოფილი შეყვარებული იქ არ გამოჩენილა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# დინამოებმა ისევ მოიგეს და მდევრებს გაექცნენ

ეროვნულ ლიგაში მეშვიდე ტური გაიმართა. გაიმარჯვა ორივე ლიდერმა დინამომ და 7 ქულით უსწრებენ მესამეადგილოსანს. თუმცა, აქამდე თუ ბურთების შეფარდებით დინამო თბილისი ლიდერობდა, ახლა წინ ბათუმელები გავიდნენ...

**თელავი-დინამო (ბთ) 1:4**

**თელავი. ჯავახიშვილის არენა**

1:0 პარკინაშვილი (10), 1:1 ზარია (16), 1:2 ტეიდი (64), 1:3 მამუჩაშვილი (68პ), 1:4 კონატე (82)

**თელავი:** თანდილაშვილი, ვიტინიო (რომი 79), გიგაშვილი, ვ.ფაცაცია, ჯიქია (დუნდუა 66), ნ.ნოზაძე, ფირანაშვილი, აშორტია (ომარაშვილი 79), ყიფიანი (ლ.კოხრეიძე 79), პარკინაშვილი, ილურიძე (ქოჩლაძე 57)

**დინამო:** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ბაგრატიონი (ჩაბრაძე 56), ტეიდი (ვიდაკოვიჩი 72), ღუდუშაური, ალთუნაშვილი (ლიტვინენკო 72), ზარია (მოსიაშვილი 80), კვერნაძე (ბიძინაშვილი 56), კონატე

**გაძევება:** ფაცაცია (52)

ბათუმის დინამო თელავში აგებდა, მაგრამ ბოლოს 4:1 იმარჯვა, ბურთების შეფარდებით გაუსწრო დინამო თბილისს და ლიდერი გახდა.

კახეთის გუნდი სწრაფი გოლით ელდარ პარკინაშვილმა დააწინაურა. ...და, აშორტიას პასის შემდეგ პარკინაშვილმა დაარტყა და ბათუმელთა მეკარე ანტონ ჩიჩკანს ხელიდან გაუვარდა ბურთი... ეს პარკინაშვილის სადებიუტო გოლია ეროვნულ ლიგაში.

ბათუმელთა შემტევმა გიორგი ზარიამ ექვს წუთში გაათანაბრა ანგარიში. მე-16 წუთზე 1:1 გახდა; მეორე ტაიმის საწყის წუთებში თელავის მცველი ვაჟა ფაცაცია მეორე გაფრთხილების გამო გააძევეს. ბათუმელებმა ეს კარგად გამოიყენეს და სამი გოლი გაიტანეს...

ჯერ განელმა ბენჟამინ ტეიდმა უძლიერესი დარტყმით წინ გაიყვანა თავისიანები; მერე ტეიდმა პენალტი მოიპოვა და ვლადიმერ მამუჩაშვილმა პენალტი გამოიყენა; ხოლო 83-ე წუთზე მამუჩაშვილის პასით სენეგალელმა მუსა კონატემ თავურით ეფექტური გოლი გაიტანა.

**დინამო (თბ)-ტორპედო 2:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 იმრანი (45), 1:1 მანჯგალაძე (78), 2:1 ვაგნერი (81)

დინამო: კერესელიძე, მალი, ნზაბა, ტაბიძე, კობოური, ხარაიშვილი, ოსეი (კალანდაძე 86), თ.კირკიტაძე (ვაგნერი 75), იმრანი (უგრეხელიძე 86), კამარა (ლაკვეხელიანი 75), მარუშიჩი (სხირტლაძე 68)

**ტორპედო:** გოშაძე, მჭედლიშვილი, მონტეირო, ნადარაია, შერგელაშვილი (სანდოხაძე 83), სამურკასოვი (ნეტო 67), მანჯგალაძე, გ.კუხიანიძე (კაბალიერო 46), გეგეჭკორი (ფელაი 46), ქიმაძე (შულაია 59), კაჭარავა



თბილისის დინამო ქუთაისის ტორპედოს გორში სძლია – 2:1. ეს ქუთათურების პირველი წაგებაა მიმდინარე სეზონში და უკვე 7 ქულით ჩამორჩებიან ორივე დინამოს: თბილისისას და ბათუმისას.

პირველი ტაიმი მთავრდებოდა, როცა დინამომ კარგი კონტრშეტევა განახორციელა და ულად-ომარ იმრანმა ზუსტი დარტყმით დაასრულა – 1:0.

78-ე წუთზე ტორპედომ გიული მანჯგალაძის გოლით გაათანაბრა; თუმცა, მალევე, დინამომ ისევ გაიტანა და ეს გადამწყვეტი გამოდგა: გიორგი ხარაიშვილის პასი და შეცვლაზე შესული ვაგნერ გონსალვესის დარტყმა – 2:1.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ წუთებზე დინამოელთა კაპიტანმა დავით სხირტლაძემ ბურთი კარის ხაზიდან ორჯერ გამოიტანა, ხოლო თითოჯერ დავით კობოურმა და დავით კერესელიძემ.

მატჩზე მოქმედებდა ვიდეოგამეორების სისტემა.

**გაგრა-დილა 0:0**

**თბილისი. ილია ჭოჭაიას ცენტრი**

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, ჯანგიძე, ნემსაძე, შონია, სულთანიშვილი, ჩაგანავა (კაკუბავა 58), მარკონდელე (კაკაშვილი 77), მუსელიანი (შუბითიძე 89), ოქრიაშვილი

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ეტუ, ძოწენიძე, სილვა, სანტოსი, ნ.გაგნიძე, გომისი (გაფრინდაშვილი 72), ჟან ვიქტორი (კოვტალიუკი 70), გეილი, მახარობლიძე

**გაძევება:** ოქრიაშვილი (51)

გაგრამ მიმდინარე სეზონში მეორე ქულა აიღო, მაგრამ ჯერ ისევ ბოლო ადგილზეა. დილამ კი ზედიზედ მეოთხე მატჩი ჩაატარა გოლგაუშვებლად.

მასპინძლებმა თითქმის მთელი მეორე ტაიმი კაცნაკლულებმა ჩაატარეს: არბიტრმა ალეკო აფციაურმა თორნიკე ოქრიაშვილი გააძევა. გაგრელთა ათიანმა მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა... მიიჩნევდა, რომ აფციაურს მასზე წესების დარღვევა უნდა დაეფიქსირებინა.

დილას ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ საბოლოოდ – 0:0.

**სამგურალი-საბურთალო 2:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 მაისაშვილი (53), 2:0 ნიქაბაძე (77), 2:1 სილაგაძე (90)

**სამგურალი:** ყალიჩავა, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი (ბურჯანაძე 87), ბული, არტური, ნ.ხორხელი (კალანდარიშვილი 71), ლ.ხორხელი (ლომინაძე 46), ჯეფინიო (ჩიხლაძე 79), კაგაიმა, ნიქაბაძე (ს.კუხიანიძე 87)

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე (სიხარულიძე 73), ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა (კომახიძე 69), ლ.ნონიკაშვილი (გ.კოხრეიძე 46), ქარდავა, ო.მამაგეიშვილი, ტაბატაძე (სილაგაძე 46), გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 84), სილა

**გაძევება:** ჩადუნელი (90)

წყალტუბოელებს ბოლო სამ ტურში გოლი არ ჰქონდათ გატანილი, ამჯერად კი ორჯერ გაიტანეს და თამაშიც მოიგეს.

სამივე ბურთი მეორე ტაიმში გავიდა: მასპინძელთაგან ჯერ მცველმა დავით მაისაშვილმა გაიტანა თავურით, მერე კი ფორვარდმა გიორგი ნიქაბაძემ კონტრშეტევაზე იხეირა.

საბურთალომ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა: ლუკა სილაგაძემ მშვენივრად შესრულდა საჯარიმო დარტყმა. მანამდე, 91-ე წუთზე საბურთალოელებს მცველი გია ჩადუნელი გაუძევეს.

ორივე გუნდი ცხრილის შუაშია, სამგურალი მეხუთე ადგილზე, ხოლო საბურთალო ერთი საფეხურით ქვემოთ.

მატჩზე მოქმედებდა ვიდეოგამეორების სისტემა.

**სამტრედია-შუქურა 0:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1, 0:2 სარდალიშვილი (11, 32)

**სამტრედია:** ბურიჩენკოვი, გვიშიანი, აბულაძე, კილასონია (კამლაძე 88), უბილავა, ხმალაძე (პაპუნაშვილი 46), ხაიბულაევი, ინჯგია (კორიფაძე 46), რობაქიძე (ზარიძე 64), ნაჭყებია, ჩამბა

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა, ასათიანი, ლ.ქურდაძე, კუროკი (ს.გელაშვილი 73), ჯანელიძე, დუმბია (ანდრონიკაშვილი 46), ც.ფაცაცია (მუჯირი 60), სარდალიშვილი, მზვაკალი (გაზდელიანი 46), აფხაზავა (გოგოლაშვილი 83)

ქობულეთელებმა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტეს და მიშიკო სარდალიშვილის დუბლით სამტრედიას მოუგეს.

შუქურას კაპიტანმა ჯერ ცაციით ცხრიანში გაიტანა, მერე კი მარჯვენიდან ჩაწოდებულ ბურთს დაუხვდა და ერთ შეხებაში გადაგზავნა კარში. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა.

შუქურა ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ ფრედ არ უთამაშია (2 მოგება, 5 წაგება) და მეშვიდე ადგილზეა. სამტრედიამ კი ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. პირველ ტურში გამარჯვების მერე იმერულმა გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 7 | 6 | 1 | 0 | 19-7 | 19 |
| 2.დინამო (თბ) | 7 | 6 | 1 | 0 | 19-8 | 19 |
| 3.ტორპედო | 7 | 3 | 3 | 1 | 8-4 | 12 |
| 4.დილა | 7 | 2 | 4 | 1 | 5-3 | 10 |
| 5.სამგურალი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 6.საბურთალო | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 7.შუქურა | 7 | 2 | 0 | 5 | 8-11 | 6 |
| 8.თელავი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 9.სამტრედია | 7 | 1 | 1 | 5 | 6-15 | 4 |
| 10.გაგრა | 7 | 0 | 2 | 5 | 8-19 | 2 |

## შედეგები

### 9 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლიდსი-კრ.პალასი ... 1:5
ლივერპული-არსენალი ... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 30 | 23 | 4 | 3 | 72-29 | 73 |
| 2.სიტი | 29 | 21 | 4 | 4 | 75-27 | 67 |
| 3.ნიუკასლი | 29 | 15 | 11 | 3 | 48-21 | 56 |
| 4.მანჩესტერი | 29 | 17 | 5 | 7 | 44-37 | 56 |
| 5.ტოტენჰემი | 30 | 16 | 5 | 9 | 55-42 | 53 |
| 6.ასტონ ვილა | 30 | 14 | 5 | 11 | 41-40 | 47 |
| 7.ბრაიტონი | 28 | 13 | 7 | 8 | 52-36 | 46 |
| 8.ლივერპული | 29 | 12 | 8 | 9 | 50-35 | 44 |
| 9.ბრენტფორდი | 30 | 10 | 13 | 7 | 47-40 | 43 |
| 10.ფულემი | 29 | 11 | 6 | 12 | 39-40 | 39 |
| 11.ჩელსი | 30 | 10 | 9 | 11 | 29-31 | 39 |
| 12.კრ.პალასი | 30 | 8 | 9 | 13 | 29-40 | 33 |
| 13.ვულვზი | 30 | 8 | 7 | 15 | 24-42 | 31 |
| 14.ვესტ ჰემი | 29 | 8 | 6 | 15 | 27-39 | 30 |
| 15.ბორნმუთი | 30 | 8 | 6 | 16 | 28-57 | 30 |
| 16.ლიდსი | 30 | 7 | 8 | 15 | 39-54 | 29 |
| 17.ევერტონი | 30 | 6 | 9 | 15 | 23-43 | 27 |
| 18.ნოტინგემი | 30 | 6 | 9 | 15 | 24-54 | 27 |
| 19.ლესტერი | 30 | 7 | 4 | 19 | 40-52 | 25 |
| 20.საუთჰემპტონი | 30 | 6 | 5 | 19 | 24-51 | 23 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-ვოლფსბურგი ... 2:0
ბოხუმი-შტუტგარტი ... 2:3
ჰოფენჰაიმი-შალკე ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 17 | 7 | 3 | 77-29 | 58 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 18 | 2 | 7 | 59-36 | 56 |
| 3.უნიონი | 27 | 15 | 6 | 6 | 42-30 | 51 |
| 4.ლაიფციგი | 27 | 14 | 6 | 7 | 50-33 | 48 |
| 5.ფრაიბურგი | 27 | 13 | 8 | 6 | 39-36 | 47 |
| 6.ლევერკუზენი | 27 | 13 | 4 | 10 | 51-41 | 43 |
| 7.აინტრახტი | 27 | 11 | 8 | 8 | 48-40 | 41 |
| 8.მაინცი | 27 | 11 | 8 | 8 | 45-38 | 41 |
| 9.ვოლფსბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 46-36 | 39 |
| 10.გლადბახი | 27 | 9 | 8 | 10 | 42-44 | 35 |
| 11.ვერდერი | 27 | 9 | 5 | 13 | 42-52 | 32 |
| 12.კიოლნი | 27 | 7 | 10 | 10 | 36-45 | 31 |
| 13.აუგსბურგი | 27 | 8 | 5 | 14 | 35-50 | 29 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 27 | 8 | 4 | 15 | 37-46 | 28 |
| 15.ბოხუმი | 27 | 8 | 2 | 17 | 30-60 | 26 |
| 16.შტუტგარტი | 27 | 5 | 8 | 14 | 32-47 | 23 |
| 17.ჰერტა | 27 | 5 | 7 | 15 | 31-50 | 22 |
| 18.შალკე | 27 | 4 | 9 | 14 | 21-50 | 21 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ფორტუნა ... 2:2
ჰანზა-კილი ... 2:3
დარმშტადი-პადერბორნი ... 2:1
ზანდჰაუზენი-ფიურტი ... 0:2
რეგენსბურგი-მაგდებურგი ... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-მალიორკა ... 3:3
ბეტისი-კადისი ... 0:2
ალმერია-ვალენსია ... 2:1
რაიო-ატლეტიკო ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 23 | 2 | 2 | 53-9 | 71 |
| 2.რეალი | 28 | 18 | 5 | 5 | 59-24 | 59 |
| 3.ატლეტიკო | 28 | 17 | 6 | 5 | 45-20 | 57 |
| 4.სოსიედადი | 28 | 15 | 6 | 7 | 37-26 | 51 |
| 5.ვილიარეალი | 28 | 14 | 5 | 9 | 37-26 | 47 |
| 6.ბეტისი | 28 | 13 | 6 | 9 | 34-29 | 45 |
| 7.ბილბაო | 28 | 11 | 7 | 10 | 38-29 | 40 |
| 8.ოსასუნა | 28 | 10 | 8 | 10 | 24-28 | 38 |
| 9.რაიო | 28 | 9 | 10 | 9 | 33-33 | 37 |
| 10.სელტა | 28 | 9 | 9 | 10 | 36-39 | 36 |
| 11.ხირონა | 27 | 9 | 7 | 11 | 42-42 | 34 |
| 12.მალიორკა | 28 | 9 | 7 | 12 | 25-30 | 34 |
| 13.სევილია | 28 | 8 | 8 | 12 | 33-44 | 32 |
| 14.კადისი | 28 | 7 | 10 | 11 | 23-40 | 31 |
| 15.ხეტაფე | 28 | 7 | 9 | 12 | 27-36 | 30 |
| 16.ალმერია | 28 | 8 | 6 | 14 | 34-48 | 30 |
| 17.ვალიადოლიდი | 28 | 8 | 5 | 15 | 23-47 | 29 |
| 18.ვალენსია | 28 | 7 | 6 | 15 | 30-34 | 27 |
| 19.ესპანიოლი | 28 | 6 | 9 | 13 | 34-46 | 27 |
| 20.ელჩე | 28 | 2 | 7 | 19 | 20-57 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ბურგოსი ... 2:1
ეიბარი-ლევანტე ... 1:1
პონფერადინა-ლეგანესი ... 0:1
კარტახენა-მირანდესი ... 1:0
ლას პალმასი-ოვიედო ... 0:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლიონი-რენი ... 3:1
აიაჩო-ოსერი ... 0:3
მონპელიე-ტულუზა ... 1:2
რეიმსი-ბრესტი ... 1:1
ტრუა-კლერმონი ... 0:2
ნანტი-მონაკო ... 2:2
ლორიანი-მარსელი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 30 | 22 | 3 | 5 | 70-29 | 69 |
| 2.ლანსი | 30 | 18 | 9 | 3 | 50-22 | 63 |
| 3.მარსელი | 30 | 18 | 7 | 5 | 54-29 | 61 |
| 4.მონაკო | 30 | 17 | 7 | 6 | 63-42 | 58 |
| 5.ლილი | 30 | 15 | 7 | 8 | 54-38 | 52 |
| 6.რენი | 30 | 15 | 5 | 10 | 48-33 | 50 |
| 9.ლიონი | 30 | 13 | 8 | 9 | 47-33 | 47 |
| 7.რეიმსი | 30 | 11 | 14 | 5 | 40-29 | 47 |
| 8.ნიცა | 30 | 11 | 12 | 7 | 38-28 | 45 |
| 10.ლორიანი | 30 | 12 | 9 | 9 | 42-40 | 45 |
| 11.კლერმონი | 30 | 11 | 7 | 12 | 31-41 | 40 |
| 12.ტულუზა | 30 | 11 | 5 | 14 | 46-52 | 38 |
| 13.მონპელიე | 30 | 11 | 4 | 15 | 46-50 | 37 |
| 14.ნანტი | 30 | 6 | 13 | 11 | 32-42 | 31 |
| 15.ოსერი | 30 | 7 | 8 | 15 | 27-51 | 29 |
| 16.ბრესტი | 30 | 6 | 10 | 14 | 34-48 | 28 |
| 17.სტრასბური | 30 | 5 | 11 | 14 | 38-52 | 26 |
| 18.ტრუა | 30 | 4 | 9 | 17 | 38-64 | 21 |
| 19.აიაჩო | 30 | 6 | 3 | 21 | 21-55 | 21 |
| 20.ანჟე | 30 | 3 | 5 | 22 | 23-64 | 14 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

კასა პია-სპორტინგი ... 3:4

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ტვენტე-კამბური ... 4:0
ემენი-ნაიმეგენი ... 0:0
აიაქსი-სიტარდი ... 4:0
ფეიენოორდი-ვალვაიკი ... 5:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ვესტერლო ... 0:0
ანტვერპენი-სერკლი ... 2:1
სტანდარდი-გენკი ... 2:0
სტ.ტრუიდენი-ოსტენდე ... 5:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ბაშაქშეჰირი ... 1:1
ბეშიქთაში-გირესუნი ... 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-კლაგენფურტი ... 3:1
ზალცბურგი-ავსტრია ... 3:3
ლინცერი-შტურმი ... 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-ჰიბერნიანი ... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-არისი ... 3:1
პაოკი-ვოლოსი ... 4:2
პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი ... 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-ტეპლიცე ... 0:3
ბოლესლავი-სლავია ... 1:1
სიგმა-ბოჰემიანსი 1905 ... 2:2
პარდუბიცე-სპარტა ... 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ჩერნომორეცი ... 1:1
დნიპრო-ლვოვი ... 5:2
კოლოსი-მეტალისტი 1925 ... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ორხუსი ... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰაკენი-ჰამარბი ... 3:1
კალმარი-გიოტებორგი ... 2:0
სირიუსი-დიურგარდენი ... 0:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# სანდრო მამუკელაშვილმა სეზონი ორმაგით დახურა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა, რითაც სან ანტონიომ 2022-23 წლის სეზონი დაასრულა, მამუკელაშვილისთვის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. სხვათა შორის, სანდრომ ყველაზე მაღალი შედეგი წინა სეზონის ბოლო შეხვედრაში, სწორედ 10 აპრილს დააფიქსირა – კლივლენდთან მატჩში 28 ქულა, 13 მოხსნა და 4 პასი მიითვალა.

ზუსტად 1 წლის შემდეგ, 2023 წლის 10 აპრილს, სანდრომ უკვე სან ანტონიოს მაისურით დალასის წინააღმდეგ 31:27 წუთი ითამაშა და 23 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი და 1 დაფარება მიითვალა, სან ანტონიომ კი დალასი სტუმრად 138:117 დაამარცხა.

მამუკელაშვილმა 10-დან 4 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და საკუთარი გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი დააგროვა ქულებშიც, მოხსნებშიც, პასებშიც.

სან ანტონიომ სეზონი 22 მოგებითა და 60 მარცხით დაასრულა...

სეზონი დაასრულა გოგა ბითაძემაც, რომლის გუნდიც ორლანდო მეჯიქი ფლეი ოფში ვერ გავიდა. ფლორიდელებმა რეგულარულ სეზონში 34 გამარჯვება მოიპოვეს და 48-ჯერ დამარცხდნენ.

დასკვნით შეხვედრაში ორლანდოელები მაიამი ჰითს ესტუმრნენ და ფლორიდული დერბი 110:123 წააგეს. საინტერესოა, რომ ბოლო მეოთხედის წინ მეჯიქი 1 ქულით იგებდა, მაგრამ გადამწყვეტი მეოთხედის სტარტზე 4:18 გაექცა მეტოქე და თამაშის ბედიც აქ გადაწყდა.

ბითაძე მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 20 წუთში 4 ქულა, 8 მოხსნა, თითო პასი და ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 2 პერსონალური მიიღო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რომელიმე საქონლის, პროდუქტის შემოტანის აკრძალვა სახელმწიფოში 2. რუსი მგოსანი; 3. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 4. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ხორბლის ქართული ჯიში; 8. დიდი წვეულება; 9. ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ძვირფასი სარეწაო თევზი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. კერძო მეწარმე სოფლად; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. თეატრალური პრემია საქართველოში.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო კატეგორიის ქართველი რაგბის მსაჯი; 7. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 8. ბოშათა ნინამძღოლი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. შემთხვევით ჩავარდნილი ბურთი ბილიარდში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. ცნობილი ქართველი მეღვინე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წიქარა; 2. მაზდა; 3. სლავია; 4. ტაუერი; 6. მორიელი; 9. თართი; 11. მორავია; 15. სუხიშვილი; 16. ესკიზი; 17. ქაშანური; 19. იქთიოლი; 21. დიზაინი; 22. კლიჩკო.

**თარაზულად:** 5. ვიქტორია; 7. ოოლოგია; 8. კურტუა; 10. კაჭკაჭი; 12. რუმბა; 13. დროშა; 14. ზეთისხილი; 18. პრადა; 20. ასუანი; 23. ალუშტა; 24. ზღვა; 25. რუზინე; 26. კალა; 27. ანორაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიუნანი; 2. ენოთეკა; 3. ჰოლდინგი; 4. ვლტავა; 5. ზანდური; 8. ყანჩელი; 9. კაკანათი; 12. კასტილია; 13. არქტიკა; 16. მოგადიშო; 17. პასტელი; 19. დნეპრი; 20. ხერესი.

**თარაზულად:** 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ყადაღა; 10. მანდელა; 11. ხულა; 14. ქარვასლა; 15. ესტანსია; 18. პოლისი; 21. ნეკრესი; 22. ცენტი; 23. იუმორი; 24. ნოვარტისი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

11 აპრილი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5299

ევრო — 2.7599

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1459

100 რუსული რუბლი — 3.0821

**ამინდის პროგნოზი 11 აპრილისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიკელ არტეტა: „დასანანი ორი ქულა დავკარგეთ“



არსენალმა სტუმრად ლივერპულთან ფრედ, 2:2 ითამაშა და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა. არსენალი ორი ბურთით იგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. არტეტა მატჩის შემდეგ უკმაყოფილებას არ მალავდა: „ეს შეხვედრა უნდა მოგვეგო, რადგან უპირატესობა გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. წინ მნიშვნელოვანი მატჩებია და ვალდებული ვართ, მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქროთ, რადგან სხვა შემთხვევაში ჩემპიონები ვერ გავხდებით“.

## გვარდიოლა: „ბაიერნი ძალიან ძლიერი გუნდია“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ ბაიერნი ძალიან ძლიერი გუნდია და მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. მიუხედავად ამისა, გვარდიოლამ იმედი გამოთქვა, რომ სიტი შეძლებს მიუნხენელების ბარიერის დაძლევას და შემდეგ ეტაპზე გასვლას: „ბაიერნი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ ვიცით ჩვენი შესაძლებლობები და შევეცდებით, რომ ნახევარფინალში გავიდეთ“.

## ოსიმენის მილანთან თამაში საეჭვოა



ნაპოლის ფორვარდ ვიქტორ ოსიმენის მილანთან თამაში საეჭვოა, რადგან მას ჯერ ბოლომდე არ მოუშუშებია ტრავმა და ლუჩიანო სპალეტი თვლის, რომ გარისკვა არ ღირს. ოსიმენმა ტრავმა ნაკრებში მიიღო და მან უკვე გამოტოვა ნაპოლის ორი შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ნაპოლის მის გარეშე საგრძნობლად გაუჭირდა თამაში და ნათლად გამოჩნდა, თუ რამხელა ძალას წარმოადგენს ოსიმენი ნაპოლისთვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## პორნოვარსკვლავმა აშშ-ის შემოვლა და ყველა შტატში ერთ თაყვანისმცემელთან დაწოლა გადაწყვიტა



ამერიკელმა პორნოვარსკვლავმა სტელა ბარიმ გადაწყვიტა, ქვეყანაში სექსტური მოაწყოს.

აღსანიშნავია, რომ ბარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოდელია და ეროტიკულ ვებგვერდზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია. მისივე თქმით, ის „ყოველდღიური სექსის“ წყალობით გამდიდრდა და ამჟამად თვეში მისი გამომუშავება 200 ათას დოლარს შეადგენს.

გოგონას ტიკ-ტოკში 600 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, სადაც ის საკუთარი სექსუალური ცხოვრების მომენტებს წარმოადგენს. მისი თქმით, ის თავისი თაყვანისმცემლების მადლიერია და სურს, რომ მათ მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და სიყვარულისთვის სამაგიერო გადაუხადოს. კერძოდ, ის აპირებს, მთელი ქვეყანა შემოიაროს და თითოეულ შტატში 50 თავის ხელმომწერთან გაიზიაროს სარეცელი. ბარი ამის გაკეთებას მას შემდეგ აპირებს, რაც მისი ხელმომწერების რაოდენობა ტვიტერში 500 ათასს ან სულაც მილიონს მიაღწევს. მან ასევე აღნიშნა, რომ მისთვის გარეგნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს და რომ მას უცნაურ მამაკაცებთან სექსი იზიდავს. პორნოვარსკვლავის მტკიცებით, აღნიშნული განცხადების გაკეთების შემდეგ მან მასთან დაწოლის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

ცოლ-ქმარმა ტაქსი გააჩერა. ქმარი მძღოლს ეკითხება:

– ბაზრობამდე მგზავრობა რა ღირს?

– ხუთი ლარი.

– და ცოლთან ერთად?

– ხუთი ლარი.

ქმარი ცოლს მოუბრუნდა და ეუბნება:

– ხომ გეუბნებოდი, კაპიკია შენი ფასი-მეთქი. არც ახლა დაიჯერებ?!

•••

პოლიციაში დაკითხვაზე:

– რის გამო დაიწყო ჩხუბი?

ეჭვმიტანილი პასუხობს:

– თავიდან იყო სიტყვა.

– რა სიტყვა?

– წადი, შენი დედა...

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– ჩემი ქმარი თავის მამაკაცურ მოვალეობას ველარ ასრულებს და იქნებ მიშველოთ რამე?

– ქალბატონო, აი ეს წამალი მიეცით ხშირ-ხშირად.

ხუთი დღის შემდეგ ქალი ისევ მივიდა ექიმთან.

– როგორაა შენი ქმარი? – ეკითხება ექიმი.

– მოკვდა, ექიმო და ისევ თქვენ უნდა მიშველოთ, რაიმე წამალი გექნებათ.

– ქალბატონო, სამწუხაროდ, მე მკვდრებს ვერ ვაცოცხლებ.

– გაცოცხლებას ვინ გთხოვს, ექიმო, კუბოს თავს ვერ ვახურებთ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნუცა ბუზალაძე „ამერიკული ვარსკვლავის“ საუკეთესოებში მოხვდა



მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა მუსიკალურმა პროექტმა „ამერიკის ვარსკვლავმა“ საუკეთესო 24 მონაწილე დაასახელა. მათ შორის ქართველი მომღერალი ნუცა ბუზალაძეა. მისმა მორიგმა გამოსვლამ ჟიურისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე კვლავ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ინტერნეტში განთავსებულ ნუცას გამოსვლას რამდენიმე საათში ათასობით ნახვა აქვს. ამერიკელებს იგი უკვე გამარჯვებულად მიაჩნიათ:

– ტოპ 24 „ამერიკის ვარსკვლავში“! არ მჯეროდა, რთული გზა გავიარე აქამდე, განსაკუთრებით, როცა ერთადერთი უცხოელი ხარ პროექტში, მაგრამ წინ ბევრი მაგარი გამოსვლა გველოდება. მიყვარხართ ძალიან!

## დავით მაღრაძის პოემის ფრანგულენოვანი პრეზენტაცია პარიზში გაიმართა



პოეტ დავით მაღრაძის პოემა „ბარაქიანი მიწის“ ფრანგულენოვანი გამოცემის პრეზენტაციას საფრანგეთმა უმასპინძლა.

პარიზში, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში, ასოციაცია „ფრანგულმა რენესანსმა“ ქართველი პოეტისა და მისი პოემის „ბარაქიანი მიწის“ ფრანგული ვერსიისადმი მიძღვნილი საღამო მოაწყო.

შეხვედრაზე ფრანგმა მსახიობმა ალან რიბერამ და დათო მაღრაძემ აუდიტორიას ფრანგულ-ქართული პერფორმანსი შესთავაზეს და „ბარაქიანი მიწიდან“ ფრაგმენტები წაიკითხეს.

წიგნის განხილვაში მონაწილეობდნენ „ზღვის იქითა აკადემიის“ პრეზიდენტი როლან პურტიე, ასოციაცია „ფრანგული რენესანსის“ ვიცეპრეზიდენტი მიშელ ლებონი, ფრანგი პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი კაროლ მესრობიანი, რედაქტორ-გამომცემელი პატრის კანოსე. შეხვედრას საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში გოჩა ჯავახიშვილი უძღვებოდა.

## ხელოვნების სასახლის ისტორიული ეტლი აღდგენილია



6-წლიანი პაუზის შემდეგ ხელოვნების სასახლის მუზეუმში დაცული ისტორიული ეტლი აღდგენილია.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– კარგი ამბავი გვაქვს: 6-წლიანი პაუზისა და ლოდინის შემდეგ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დავასრულეთ ჩვენს მუზეუმში დაცული, დიდი ხნის განმავლობაში უმოქმედოდ დაშლილი ისტორიული ეტლის რესტავრაცია. არტეფაქტმა თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნა და მუდმივი ექსპოზიციის ნაწილი გახდა. საექსპოზიციოდ მისთვის საგანგებო დამცავი სივრცეც მომზადდა. დიდი მადლობა ჩვენს რესტავრატორებს, განსაკუთრებით ირაკლი ზამბახიძეს, რომელმაც ამ პროცესს უხელმძღვანელა, მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელმაც მხარი დაგვიჭირა ამ წამოწყებაში... ასე რომ, ხელოვნების სასახლის მეორე კორპუსის ეზოში ლამაზი სანახაობა გელით.

## დემნას „ლუქს მოდის ბნელი მბრძანებელი“ უწოდეს



ქართველი დიზაინერი დემნა წლებია, მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრშია. მისი ყოველი ახალი კოლექცია, ახალი ჩვენება მაშინვე ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა.

**ამერიკულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ნიუ იორკერმა“ დემნას სტატია მიუძღვნა და მას „ლუქს მოდის ბნელი მბრძანებელი“ უწოდა:**

– ლუქს მოდის ბნელი მბრძანებელი 41 წლის ვეგეტარიანელია. იგი საუბრობს შვიდ ენაზე და დილას მედიტაციით იწყებს. ტანსაცმლის შექმნის გარდა, დემნას ყველაზე მეტად საჭმლის კეთება უყვარს. მისი სპეციალობა მცენარეული საქონლის ხორცით დამზადებული ხინკალია. დემნამ ჩვენი შეხვედრის ადგილად შეარჩია ეკლესია იმ ბაღიდან, სადაც ის და ლოიკი დაქორწინდნენ 2017 წელს. „ჰოგვორტსს ჰგავს, არა?“ – თქვა დემნამ. წყვილმა შაბათ-კვირა ნეტფლიქსის ტრილერის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ყურებაში გაატარა. ისინი ახლა ჟენევის მახლობლად ფრანგულენოვან სოფელში გადასასვლელად ემზადებიან. დემნას სულ ახლახან ჰქონდა შეხვედრა საბუთების მოსაგვარებლად, როდესაც თანამდებობის პირმა (ციურიხიდან) გადასვლის მიზეზი ჰკითხა. „შვეიცარიული გერმანული კარგად არ ვიცი, – ამბობს დემნა, – ამიტომ ცოტა უხერხული იყო, ისე კი, რეალურად (ენა) ერთ-ერთი მიზეზი იყო, ამიტომ ასე ვუპასუხე: „დიახ, იცით, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი: იმიტომ, რომ არც ახლა მესმის, რას ამბობთ“. ციურიხის სავაჭრო უბანი რომ დავათვალიერეთ, დემნამ მითხრა: „ვფიქრობ, ციურიხში ადამიანები განსაკუთრებით ცუდად არიან ჩაცმულნი. არ ვიცი, ეს რა არის, გაოცებული ვარ“.

ბალენსიაგას 2022 წლის ზამთრის შოუს შესახებ დემნამ დაწერა: „ომმა უკრაინაში გაამძაფრა ჩემი წარსული ტკივილი, რომელსაც 1993 წლიდან ვატარებ“. ჩვენების დასაწყისში მან უკრაინელი მწერლის ოლექსანდრ ოლესის ლექსი წაიკითხა. „ჩვენ საშინელ სამყაროში ვცხოვრობთ და მოდა ამის ანარეკლია, – თქვა დემნამ, – თუ შოუ იწვევს ამ შიშს ან ტერორს, ეს ნიშნავს, რომ ჩემი საქმე წარმატებით შევასრულე“.

დემნას ნამუშევრებში არსებული სტრესი, რომელსაც ზოგიერთი ადამიანი ცინიკურ ინტერპრეტაციას სძენს, ხშირად მტკივნეული და პირადია. მისი ნამუშევრები ამტკიცებს, რომ თბილისი, საქართველო – ან/და ნებისმიერი ადგილი – შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს შემოქმედებითი წარმოსახვისთვის, ვიდრე სტილის კერპი – ტალითა გეთი.

დემნა თავის ოჯახთან ერთად გერმანიაში საცხოვრებლად 21 წლის ასაკში გადავიდა. მას მერე უკან აღარ დაბრუნებულა, მაგრამ ამბობს, რომ ღრმა კავშირი აქვს ქართულ კულტურასთან, რომელსაც ხშირად აჩვენებს თავის საქმეში. მის 2019 წლის კოლექციაში სამოსზე ქიუარ კოდი იყო დატანილი, რომლის დასკანერების შემდეგ ის ავტომატურად გამისამართებდა ვიკიპედიის გვერდზე – „ქართველთა ეთნიკური წმენდა აფხაზეთში“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



**11 აპრილისათვის**

**ვერძი** – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **კურო** – არასტაბილური დღეა. მიზნის მიღწევას საკმაო შრომა დასჭირდება. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნათ. გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. **ლომი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – გელით ახალი საინტერესო ნაცნობობა. მეგობრული და საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **მორიელი** – მშვიდი და სიხარულით აღსავსე პერიოდია. თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას, სავარაუდოდ, დღეს მოაგვარებთ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **მერწყული** – პიროვნული მომხიბვლელობა თქვენს წარმატებას ხელს შეუწყობს. საკუთარ უნარებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **თევზები** – აგრესიული, პროვოკაციული და მაცდური დღეა. თავს ნურაფრით გაინებივრებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. გერმანელი ფილოსოფოსი; 3. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 4. აეროპორტი კაიროში; 6. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 9. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 11. პირველი ქართველი მფრინავი; 15. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 16. ქართულ ბალეტ „გორდას“ პერსონაჟი; 17. თევზის ქვირითისგან მომზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. სოფლის შარაგზა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

**თარაზულად:** 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 8. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ამერიკული ჯიში; 12. აფრიკული ცხოველი; 13. ისტორიული შადრევანი რომში; 14. ქართველი კომპოზიტორი ქალი; 18. სამონასტრო კომპლექსი საჩხერის რაიონში; 20. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 23. მთიანი ავტომაგისტრალის ქვეშ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 24. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 25. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 26. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

